საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 24 ივლისი, 2014 წელი.

№144 (7525)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

თხუთმეტი წლის წინათ ორბიტაზე პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი გაიყვანეს



4

საზოგადოებამ „რემენას ტესტი“ ვერ ჩააბარა

3

რა ხდება მაშინ, როცა სისტემა მანკიერია?!

ლარიბაშვილმა კურსი მენეჯერული ტიპის მინისტრებზე აიღო

7

„ვენდობით იმ ადამიანებს, რომლებიც ჩვენი გუნდის წევრები არიან“

6

ბრძოლა პირველობის შენარჩუნებისთვის გრძელდება

5

როგორ მზადდებოდა 2008 წლის აგვისტოს ომი

9

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

პრემიერ-მინისტრმა პრეზიდენტს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრობის კანდიდატად მიხეილ გიორგაძე წარადგინა

პრემიერმა კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის თანამდებობაზე მიხეილ გიორგაძის კანდიდატურა წარადგინა. აღნიშნულთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრის პრესსამსახური განცხადებას ავრცელებს, რომელსაც „ინტერპრესნიუსი“ უცვლელად გთავაზობთ:

— საზოგადოება განსაკუთრებული ინტერესით ელოდება კულტურის მინისტრის კანდიდატურას, რაც ნათლად ადასტურებს, რომ ჩვენი საზოგადოებისთვის კულტურის სფერო არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი. ეს არის ის სფერო, რომლითაც საქართველო უნდა წარსდგეს მსოფლიოს წინაშე. სწორედ ამიტომ, კულტურის განვითარებას ახლებური, თანამედროვე, რეფორმატორული მიდგომა სჭირდება. ასეთია საქართველოს პრემიერ-მინისტრის და მთავრობის მთელი გუნდის ხედვა. ბევრი მსჯელობის შედეგად შეირჩა ისეთი კანდიდატი, რომელიც აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას, რაც დღეს კულტურის ახალი პოლიტიკისთვის არის საჭირო.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის თანამდებობაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრი წარადგენს მიხეილ გიორგაძის კანდიდატურას. იგი პროფესიით არის ეკონომისტი, დამთავრებული აქვს მენეჯმენტის ევროპული პროგრამა ბრიუსელში.

საზოგადოება მას იცნობს როგორც კულტურის სფეროს წარმატებულ მენეჯერს და არაერთი წარმატებული პროექტის ავტორს. იგი გახლავთ კომპანია „ისტერნ პრომოუშენის“ გენერალური მენეჯერი, თბილისის საკონცერტო დარბაზის დირექტორთა საბჭოს წევრი, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური პროდიუსერი, ლონდონის BPR Production-ის ხელოვნების მენეჯმენტის პროგრამის კონსულტანტი, საქართველოს მინისტრთა კაბინეტის ეკონომიკის დეპარტამენტის მრჩეველი.

მიხეილ გიორგაძეს აქვს ფართო კონტაქტები უცხოეთში კულტურის სფეროს წარმომადგენლებთან, რაც ხელს შეუწყობს ქართული კულტურის გატანას მსოფლიო მასშტაბით და მის პოპულარიზაციას. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი იმ გამოწვევების ფონზე, რომელიც დღეს ჩვენი ქვეყნის წინაშე დგას, — ნათქვამია განცხადებაში.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი იმედს გამოთქვამს, რომ სულ მალე მიხეილ გიორგაძე გახდება გუნდის წევრი.

* * *

როგორც მთავრობის საპარლამენტო მდივანმა შალვა თადუმაძემ განაცხადა, მინისტრობის კანდიდატების სია პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გუშინ გაიგზავნა.

კონსტიტუციის მიხედვით, მინისტრთა კაბინეტის განახლებულ შემადგენლობას პარლამენტმა ნდობა თავიდან უნდა გამოუცხადოს, აღნიშნულისთვის კი საკანონმდებლო ორგანოს პრეზიდენტმა უნდა მიმართოს.

კანონმდებლობით, ქვეყნის პირველ პირს ნდობის მოსაპოვებლად საკანონმდებლო ორგანოსადმი მიმართვისთვის 7-დღიანი ვადა აქვს, თუმცა, არსებული ინფორმაციით, მთავრობის ახალ შემადგენლობას პრეზიდენტი ხელს მიღებისთანავე მოაწერს. პრეზიდენტის წარდგინება საკანონმდებლო ორგანოში, სავარაუდოდ, დღეს მოხდება. თავის მხრივ, პარლამენტი ვალდებულია აღნიშნული საკითხი, 7 დღის ვადაში განიხილოს, თუმცა, მოსალოდნელია, რომ პროცედურა ამ შემთხვევაშიც დაჩქარდება.

მორატორიუმი პრემიერის კეთილი ნება იყო და არა უგულავას იმუნიტეტი

— პრემიერის მიერ გამოცხადებული მორატორიუმი იყო პოლიტიკურად კეთილი ჟესტი. ეს არსად არ წერია კანონში და, შესაბამისად, პრემიერს არ ევალებოდა ამის გაკეთება, მაგრამ მან ეს გააკეთა. ეს კარგი ნაბიჯი იყო და ძალიან ბევრ რამეში საარჩევნო გარემო გააუმჯობესა. თუმცა, თუ ვინმემ, სახელად უგულავამ დაიწყო ცრუ მოძრაობები და დღე ერთი იყო და ორჯერ იმყოფებოდა აეროპორტში და ცდილობდა ქვეყნიდან მიმალვას, რა თქმა უნდა, აქ მორატორიუმი ვერ იმოქმედებდა. მორატორიუმი არ იყო იმუნიტეტი, ამიტომ სამართალდამცველმა ორგანოებმა მიიღეს ის გადაწყვეტილება, რაც მიიღეს. მე ამ გადაწყვეტილებას მხარს ვუჭერ და ვთვლი, რომ უგულავამ პასუხი უნდა აგოს მთელი სიმკაცრით იმ ქმედებებისთვის, რაც მას დაუდგინდება, რომ აქვს ჩადენილი, — განაცხადა საქართველოს იუსტიციის მინისტრმა წულუკიანმა.

მისივე თქმით, სასამართლო არის დამოუკიდებელი და სასამართლო თავად განსჯის, რა აქვს ჩადენილი უგულავას და რა არა.

პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა „კავკასიის“ გადაცემა „ბარიერში“ განაცხადა, რომ არ იყო სასიამოვნო, როცა გიგი უგულავას დაკავება მაინც და მაინც გამოცხადებული მორატორიუმის დროს მოხდა.

ირაკლი ღარიბაშვილმა პოზიციები საკუთარი გუნდის წევრებით გაიმაგრა

ასე აფასებს ექსპერტი კახა კახიშვილი განახლებულ მინისტრთა კაბინეტში შერჩეულ მთავრობის წევრებს.

როგორც კახიშვილმა „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას განაცხადა, ახალი მინისტრები უშუალოდ ირაკლი ღარიბაშვილის გუნდიდან არიან შერჩეული და მათ კოალიციასთან არაფერი აკავშირებთ.

კახიშვილის აზრით, 2016 წლამდე მინისტრთა კაბინეტის დანარჩენი ნაწილიც შეიცვლება და ყველა საკვანძო თანამდებობას უშუალოდ ღარიბაშვილის გუნდის წევრები დაიკავებენ.

— ის ადამიანები, რომლებიც ჩვენ ვნახეთ და რომელთაც მინისტრის სავარძლები დაიკავეს, პოლიტიკაში არასდროს იყვნენ. არც „ქართულ ოცნებაში“ იყვნენ ჩართული, როცა „ქართული ოცნება“ ყალიბდებოდა. უბრალოდ, ისენი არიან ადამიანები, რომელიც ღარიბაშვილმა აღმასრულებელ ხელისუფლებაში მოღვაწეობის დროს გაიცნო. აქცენტი მინისტრის მოადგილეებსა და სისტემაში მომუშავე კადრებზე გაკეთდა, ანუ ეს ის ადამიანები იყვნენ, რომლებიც იმავე სამინისტროში მუშაობდნენ, იყვნენ ღარიბაშვილის ნდობით აღჭურვილი პირები და სამინისტროებში ღარიბაშვილის პირადი რეკომენდაციის საფუძველზე მუშაობდნენ. პირველი პირების სავარძლები აი ამ ადამიანებმა დაიკავეს. როგორც ჩანს, ირაკლი ღარიბაშვილმა საკუთარი გუნდის წევრებით პოზიციები გაიმაგრა. რეალურად, მიუხედავად იმისა, კოალიცია იტყვის, რომ ახალი მინისტრები მათთან შეთანხმებული იყო, ისინი უშუალოდ ღარიბაშვილის კადრები არიან და კოალიციასთან არც პოლიტიკურ და არც საქმიან კავშირში არ არიან. ღარიბაშვილი ეტაპობრივად მინისტრთა კაბინეტს გადაახალისებს. პირველ ეტაპზე თანამდებობას ის მინისტრები დაემშვიდობნენ, რომლებიც პოლიტიკურად აქტიურები არ იყვნენ, რომელთა განთავისუფლებაც კოალიციაში პრობლემას არ შექმნის და შიდა პოლიტიკურ კლიმატს არ დაძაბავს, მაგრამ მოსალოდნელია, რომ 2016 წლამდე მინისტრთა კაბინეტის დანარჩენი ნაწილიც შეიცვლება და, სავარაუდოდ, საკვანძო თანამდებობასაც ღარიბაშვილის გუნდის წევრები დაიკავებენ და არა კოალიციის სახეები, — განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ კახა კახიშვილმა.

უცხოელი პროკურორების საქართველოში ჩამოყვანა არ უნდა მოხდეს

ისე, როგორც ინგლისურენოვანი მასწავლებლების, უცხოელი პროკურორების საქართველოში ჩამოყვანა არ უნდა მოხდეს, — ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ყოფილმა გენპროკურორმა გია მეფარიშვილმა ორგანიზაცია „სამართლის მეცნიერთა კავშირის“ პრეზენტაციაზე განუცხადა.

აღნიშნულით გია მეფარიშვილი პროკურატურის მოწვევით საქართველოში უცხოელი სპეციალისტების ჩამოყვანას გამოეხმაურა.

— თუ ვინმეს ჰგონია, რომ ჩამოვლენ საქართველოში უცხოელი პროკურორები და გამომძიებლები და სისხლის სამართლის საქმეები ბათქაბუთქით გაიხსნება, ასე არ მოხდება. ეს ასე მარტივი არ არის. კომპლექსური მიდგომაა საჭირო, თუმცა, რა თქმა უნდა, გამოცდილება გასაზიარებელია. მე უფრო სხვა მიმართულების მომხრე ვარ, — განაცხადა გია მეფარიშვილმა.

რაც შეეხება პროკურატურის საქმიანობას და სისხლის სამართლის საქმეების წარმოების მიმდინარეობას, გია მეფარიშვილის განცხადებით, დაპირებები ჯერ არ შესრულებულა.

— შეპირებული საქმეები, ჯერ ვერ ვნახე, რომ სასამართლოში წასულიყო, რამდენიმე გამონაკლისის გარდა. პოლიტიკურ შეფასებებს ვერ და არ გავაკეთებ, რადგან პოლიტიკა საერთოდ არ მაინტერესებს, ჩემი საქმე სამართლებრივი მეცნიერება და სტუდენტებთან მუშაობაა, — განაცხადა მეფარიშვილმა.

გია მეფარიშვილი ახლადშექმნილი ორგანიზაციის „სამართლის მეცნიერთა კავშირის“ წევრია, რომლის პრეზენტაცია გუშინ ტექნიკურ უნივერსიტეტში გაიმართა.

◎ ალიანჩალიანი

ქუთაისის ცენტრთან დამაკავშირებელი უმოკლესი გზა სრულდება

ქუთაისი-საფიჩხია-ჭოგნარის საავტომობილო გზის 4,7-კილომეტრიან მონაკვეთზე სარეაბილიტაციო სამუშაოები სრულდება.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საავტომობილო გზების დეპარტამენტიდან აცნობეს, ქუთაისის ცენტრთან დამაკავშირებელი უმოკლესი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია 2014 წლის აპრილში დაიწყო. პროექტზე 40 ადგილობრივი მოსახლე დასაქმდა. დაიგო ახალი ასფალტ-ბეტონის საფარი, მოეწყო ხელოვნური ნაგებობები, რკინა-ბეტონის მილები, კიუვეტები, მიერთებები, ეზოებში შესასვლელები, საგზაო ნიშნები და ავტობუსების გაჩერებები. დარჩენილია საგზაო ნიშნების მონტაჟისა და გზის ჰორიზონტალური მონიშვნის სამუშაოები.

დეპარტამენტის ინფორმაციით, ქუთაისი-საფიჩხია-ჭოგნარის საავტომობილო გზა ქუთაისსა და ქუთაისის შემოვლით გზას, მიმდებარე სოფლებს აკავშირებს. ასევე, გზა უკავშირდება ბაგრატის ტაძარსა და გელათის მონასტერს. რეაბილიტირებული მონაკვეთი ქუთაისის მოსახლეობისა და ტურისტებისთვის მგზავრობას სწრაფს, კომფორტულსა და უსაფრთხოს გახდის.

მათივე ინფორმაციით, სარეაბილიტაციო სამუშაოებს სახელმწიფო დაფინანსებით შპს „საქმილსადენმშენი“ ასრულებს, რომლის ღირებულებაც 3 018 000 ლარს შეადგენს. ქუთაისი-საფიჩხია-ჭოგნარის საავტომობილო გზა 25 წელზე მეტია არ შეკეთებულა.

აშენდება საჰაერო მოძრაობის მართვის ახალი ცენტრი

თბილისში საჰაერო მოძრაობის მართვის ახალი ცენტრის მშენებლობა იწყება. ცენტრის საძირკველში კაფსულა გუშინ ჩადეს ეკონომიკის მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა , თბილისის ახლადარჩეულმა მერმა დავით ნარმანიამ და თბილისის საკრებულოს დეპუტატმა გულიკო ზუმბაძემ.

როგორც პრეზენტაციაზე ეკონომიკის მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა, მშენებლობის მიზანია, ორგანიზაციის ინფრასტრუქტურის, ევროკონტროლისა და „იკაოს“ მიერ შემუშავებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ტექნოლოგიებითა და თანამედროვე სისტემებით აღჭურვა. მისივე თქმით, საჰაერო მოძრაობის მართვის ახალი სისტემების შესაძენად საერთაშორისო ტენდერი ამ წლის შემოდგომაზე გამოცხადდება, რომლის სავარაუდო ღირებულებაც 9 მილიონი ევრო იქნება.

საჰაერო მოძრაობის მართვის ცენტრი სრულად უზრუნველყოფს თბილისის, ბათუმისა და ქუთაისის და საქართველოს მიერ კონტროლირებად საჰაერო სივრცეში ფრენების უსაფრთხოებას. ახალ მართვის ცენტრს ექნება შესაძლებლობა მოემსახუროს ახალ აეროპორტსაც, თუკი სახელმწიფო ასეთის აშენებას გადაწყვეტს.

შენობის პროექტი 2010 წელს „ლებოს“ მიერ შეიქმნა, რომელსაც ტენდერში გამარჯვებული ქართული სამშენებლო კომპანია „დაგი“ ააშენებს. სამშენებლო სამუშაოები 23 ივლისიდან დაიწყება და გრაფიკის მიხედვით ორ წელიწადში დასრულდება.

ავტობუსის მძღოლები დაუცველები არიან

ავტობუსის მძღოლები შინაგან საქმეთა სამინისტროს ბოლო გაჩერებებზე პატრულირების გამკაცრებას სთხოვენ.

გუშინ ავტობუსების მძღოლები ზემო ფონიჭალაში მდებარე ბოლო გაჩერებაზე შეიკრიბნენ, კიდევ ერთხელ მიაგეს პატივი რამდენიმე დღის წინათ ურთიერთშელაპარაკებისას დაღუპული მძღოლის ხსოვნას, შემდეგ კი შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური მიმართვა ჩააბარეს.

მიმართვაში აღნიშნულია, რომ თბილისში, ბოლო გაჩერებებზე გამკაცრდეს პატრულირების კონტროლი, რათა არ მოხდეს ავტობუსის მძღოლების მიმართ ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის შემთხვევები.

ინტერპრესი

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

- **რუსებს ერგოთ ორი ფრანგული „მისტრალი“,**

ქართველებს — შვიდი ნაოცნებარ-ნამინისტრალი.

- **ღარიბაშვილს ჰკითხეს, სადური რატომ არ გაუშვიო?**

მაგის გაცილების სუფრა ძვირი დაგვიჯდებოდაო.

- **ნამინისტრალები სწავლას სად გააგრძელებენ?**
- **კოჟორიძემ დილა მშვიდობისა თქვა, თუ ჯერ ისევ ღამეა?**
- **მოკლედ, მენეჯერის კურსები თუ გაქვს გავლილი, ყველგან ხსნილი გაქვს გზა...**
- **მთავრობაში ოლიმპიური სისტემა არ იციან?**

მოგხსნეს? წადი, მოშორდი, დაწექი, დაიძინე.

რა მნიშვნელობა აქვს კარუსელს რა ერქმევა — სუბარი თუ შაშკინი!

- **ეს რანაირი „პრაგრამა“ აქვთ?**

თან „რუსთავი 2-ს“ აგინებენ და თან, ბრიფინგებს და განცხადებებს „კურიერის“ დაწყების დროს ამთხვევენ!

- **ოლანდის კუბო ვნახე მე „მისტრალზე“ პუტინის გვერდით.**
- **მინდა, ყველამ იმ სკოლასთან ჩაიაროს,რომელიც სოზარმა დაამთავრა. ყველაფერი როგორიცის ამ კაცმა, ყველაფრის მინისტრად როგორ ვარგა? ბოლოს ეს მოღალატეები ისეთ სარმას დაუდებენ ღარიბაშვილს, კარგა ხნით ვერ გაერკვევა. არ დამიწყოთ ახლა აკონტროლებს ყველაფერს და ყველაფერი ხელისგულზე უდევსო. „ობიექტივზე“ მაჭავარიანის ძმა იყო. ეს რა ოქრო გვყოლია, არავინ ვიცოდით, ბიძოს მეტმა. ყოჩაღ, ოცნება. ევროპა არ ვიცი და ერი მაგრად გააკვირვეთ. სად პოულობთ ამ ხალხს, საიდან მოიყვანეთ? და იმის გარდა, რომ სადღაც კოლეჯი დაამთავრეს, რა დამსახურება აქვთ ქვეყნის წინაშე?**

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

საზოგადოებამ „რემენას ტესტი“ ვერ ჩააბარა

რა ხდება მაშინ, როცა სისტემა მანკიერია?!



— ბატონო პეტრე, რა აზრის ხართ სამთავრობო გადაადგილებებსა და იმ პროცესზე, რაც ამჟამად ქვეყანაში მიმდინარეობს?

— გადაადგილება შეეხო იმ მინისტრებს, რომელთა უკან პოლიტიკური ძალა არ დგას, ეს ნიშანდობლივია. მაგრამ ცვლილება არ შეეხო, მაგალითად, შინაგან საქმეთა მინისტრს, რომელიც დიდი ხანია, ცოცხალ ანეკდოტად იქცა, იმდენად აბსურდულ განცხადებებს აკეთებს. სხვათა შორის, არ შეეხო ცვლილება განათლების მინისტრს, ვისზეც დარგის ექსპერტები კარგა ხანია, მიანიშნებენ, რომ შესაცვლელია. მასაც არ ახლეს ხელი. ეს ემსახურება ერთადერთ პრინციპს: ღარიბაშვილს უნდა ჰყავდეს ისეთი მინისტრები, რომლებიც ყოველგვარი პირობების გარეშე შეასრულებენ მის მითითებებს.

— თქვენ გგონიათ, რომ გადაყენებული მინისტრები პრემიერის მითითებებს არ ასრულებდნენ?

— აი, მე გეტყვით რამდენიმე მაგალითს და თავად განსაჯეთ. როდესაც პარლამენტში შევიდა კანონპროექტი ბირთვული ნარჩენების დასაშვებობის შესახებ, გარემოს დაცვის კომიტეტის ხელმძღვანელმა გია ცაგარეიშვილმა თქვა, რა ვქნა, კახი კალაძეს ხომ არ შევეკამათებით. ჩემთვის ცნობილია, რომ გარემოს დაცვის სამინისტრომ განიხილა ეს პროექტი და შენიშვნებიც დადო, რამაც მთავრობის ხელმძღვანელი გააღიზიანა. ბრძანება არ განიხილება, ბრძანება სრულდება(!) გახსოვთ ხუდონჰესის თემა: არავითარი წინაპირობა, ექსპერტების დასკვნები მომზადებული არ არის, ამაზე თქვა ხათუნა გოგალაძემ, ამაზე საუბარია ომბუდსმენის ანგარიშშიც. გავიხსენებ საყდრისის თემას... ისევ ხმაური, განსხვავებული პოზიციები. სოზარ სუბარმა სამჯერ დაწერა წასვლის შესახებ განცხადება. ამ მინისტრმა ხომ ბევრი იცის, რას ჩადიოდნენ ყოფილი პროკურორი ოთარ ფარცხალაძე და დეპარტამენტის ხელმძღვანელი დარბაისელი, რომელიც რეალურად მართავდა ციხეს. მერაბიშვილის გაყვანის შესახებაც კარგად იცის სუბარმა. ამ ფაქტის გამოუძიებლობით კი ჩვენმა ხელისუფლებამ მერაბიშვილს პოლიტიკურად დევნილის ელფერი შესძინა, რაც ჩემი აზრით, უთუოდ დიდი შეცდომა იყო.

— ეს არის შეცდომა თუ მიზანმიმართული ქმედება?

— შეცდომა, რომელიც აისახება მიზანმიმართულ მოქმედებებში. არ ვამტკიცებ იმას, რომ პრემიერი ღარიბაშვილი ამას აკეთებს ბოროტი განზრახვით, პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, რათა ზიანი მიაყენოს ქვეყანას. ადვილი შესაძლებელია, რომ მას ჰგონია, ასეთი მმართველობის სტილი არის ერთადერთი ეფექტიანი გზა, რაც საბედისწერო შეცდომაა. მმართველობის ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სტილი კრახისთვის არის განწირული!

სად არის ანტიმონოპოლიური კანონი, რომელიც მოუხსნიდა პრივილეგიებს მთელ რიგ მსხვილ კომპანიებს?! თითქმის ორი წელი გავიდა და შედეგი არ ჩანს. სამაგიეროდ, დიდძალი პრემიების გაცემით არიან დაკავებულნი. შეგახსენებთ, რომ ოთარ ფარცხალაძემ და მისმა მოადგილემ 100 ათასი დოლარი გადაიხადეს „ჯიპებში“. ფარცხალაძე გადადგომის შემდეგაც კარგა ხანი დადიოდა ამ მანქანით, რადგან წასვლის შემდეგაც გავლენას ახდენდა. როგორც ვიცი, საბედნიეროდ ამჟამად ის საბოლოოდ ჩამოშორდა ამ სისტემას. მე ჭორად ვიცი, რომ პრემიერსა და ფარცხალაძის ოჯახებს შორის ახლობლური ურთიერთობაა. შეიძლება მათი მიზნები ყოფილიყო სრულიად კეთილშობილური, მაგრამ მიზნის მიღწევა ყველანაირი მეთოდით გაუმართლებელია.

— ჩვენ ერთგვარად ავცდით ახალი მინისტრების თემას... დიდი ალბათობით, ამ შემადგენლობას მხარს დაუჭერს პარლამენტი. შედეგი რა იქნება?

— არც არაფერი. ჩემი აზრით, იქნება უშედეგო. მმართველობის ეფექტიანობა ამით კი არ ამაღლდება, პირიქით, დაიწევს. ამას ვამბობ, როგორც მართვის სპეციალისტი.

ჩვენში აქცენტი კეთდება პიროვნებებზე, ვის გაათავისუფლებენ, ვინ ინიშნება, ასე ხდება ტრადიციულად. როგორც ამბობენ, საქართველომ ამ 23 წლის განმავლობაში რეკორდი დაამყარა, 300-ზე მეტი მინისტრი გამოიცვალა. პიროვნება შეიძლება კარგი სპეციალისტი იყოს, კარგი მმართველი, პოლიტიკოსი, მაგრამ როცა ის ზის თანამდებობის სკამზე და პრემიერ-მინისტრის მითითებებს ელოდება, მაშინ სისტემა მანკიერია. ასეთ მანკიერ სისტემაში ბევრად ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება პიროვნებებს. დემოკრატიული მმართველობის სისტემაში მინისტრთა კაბინეტი უნდა მუშაობდეს ასე: ყველა მინისტრი თავისუფალია, შემოდის თემა განსახილველად, შემდეგ კენჭს უყრიან და ამის შემდეგ ენიჭება მნიშვნელობა პრემიერის გადაწყვეტილებას. ეს არის დემოკრატია, სადაც ყოველი პიროვნების უნარს, ნიჭს, გამოცდილებას ეფექტი მოაქვს.

> **საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე, სამთავრობო გადაადგილებებზე, საზოგადოებრივ პასუხისმგებლობასა და ივანიშვილის ფაქტორზე გვესაუბრება მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის ხელმძღვანელი პეტრე მამრაძე.**

— ბატონო პეტრე, თქვენ საუბრობთ დემოკრატიის მანკიერებაზე საქართველოში. იყო ეს საზოგადოების დაკვეთა? და საინტერესოა, როგორ შეაფასებთ ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლის დღიდან დღემდე საზოგადოების გარდასახვის ეტაპებს?

— საზოგადოებას 2011 წელს ჰქონდა სრულიად ჯანსაღი შემართება. და, ჩემდა სასიხარულოდ, ასეთი შემართებით გამოვირჩევით მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში. ჩვენ გვახსოვს ივანიშვილის გმირული, თავგანწირული მოქმედება. ადამიანისა, რომელიც საქართველოს ისტორიაში არის ყველაზე დიდი ქველმოქმედი, ვინც კი ოდესმე ყოფილა. როცა ივანიშვილი გამოდიოდა ქუჩაში, მასთან ერთად 300 ათასი მხარდამჭერი იდგა, რომელსაც ვერანაირი მილიარდი ვერ იყიდის. მან გადაარჩინა ერი, გადაარჩინა სახელმწიფო სააკაშვილის სადისტური სისტემისგან.

— ხალხის ნდობა გამართლა?

— აი, აქ იჩენს თავს ჩვენში საბჭოური მენტალიტეტის გადმონაშთი — პატრონ-კლიენტური ურთიერთობა. ავირჩიეთ და მოგვხედოსო. არადა, დემოკრატიის ქვეყნებში არჩევნების მეორე დღესვე იწყება პრობლემები, ამიტომ საზოგადოება ფხიზლობს და დგას მაკონტროლებლად.

მე თამამად ვაცხადებ, რომ საზოგადოებამ „რემენას ტესტი“ ვერ ჩააბარა. კანონიერი ქურდის რომან ბარბაქაძის საქართველოში შემოსვლა „გავატარეთ“, არადა, ხომ კარგად გესმით, რომ ამას დასავლეთის ნებისმიერ ქვეყანაში „კაბინეტური კრიზისი“ მოჰყვებოდა. რაც შეხეება ირმა ნადირაშვილის ინფორმაციას, ვიცით, რომ ის სააკაშვილის „თანარეჟიმელია“, მაგრამ, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ფაქტს, როცა საქართველოს კონსული უკრაინაში და უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტრო ადასტურებენ ამ ინფორმაციას, ოფიციალური საბუთი ინტერნეტში დევს, ქვეყნდება რეისის ნომერი, ავიაბილეთის ნომერი. ნათქვამია ისიც, რომ ჩამოფრინდა, მაშინ, როგორ მოხდა, რომ ამ ადამიანმა საზღვარი არ გადმოკვეთა?! ამ დოკუმენტების გამოქვეყნებისთანავე იმ დღესვე უნდა დაედგინა ხელისუფლებას, გამოფრინდა ეს კაცი თუ არა, იქნებ არც გამოფრინდა? შეიძლება დავუშვათ, ყველაფერი ხდება. თუ გამოფრინდა, მაშინ პასუხი უნდა აგოს ვინმემ, რადგან ეს უმძიმესი დანაშაულია.

> **მე თამამად ვაცხადებ, რომ საზოგადოებამ „რემენას ტესტი“ ვერ ჩააბარა. კანონიერი ქურდის რომან ბარბაქაძის საქართველოში შემოსვლა „გავატარეთ“, არადა, ხომ კარგად გესმით, რომ ამას დასავლეთის ნებისმიერ ქვეყანაში „კაბინეტური კრიზისი“ მოჰყვებოდა. რაც შეხეება ირმა ნადირაშვილის ინფორმაციას, ვიცით, რომ ის სააკაშვილის „თანარეჟიმელია“, მაგრამ, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ფაქტს, როცა საქართველოს კონსული უკრაინაში და უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტრო ადასტურებენ ამ ინფორმაციას.**

რა არის საზოგადოების რეაქცია „რემენას ტესტზე“? პასუხი მარტივია — ჩვენ შორს ვართ დემოკრატიისგან! ვერც სამოქალაქო სექტორი, ვერც მასმედია თავის სიმაღლეზე ვერ დგას.

— თქვენ არ გაგჩენიათ პროტესტი, როგორც სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელს ივანიშვილის მისამართით, რომელმაც დაიბარა, რომ ის გადადის ბრძოლის სხვა ფლანგზე. სად არის „მოქალაქის“ ხმა?

— მე მგონია, რომ მას გარემოცვა არ აწვდის სწორ ინფორმაციას. ამის დეფიციტი ყოველთვის იყო საქართველოში...

— რატომ, „მოქალაქე“ მყისიერად ეხმაურება ხოლმე მოვლენებს, მაგალითად, როცა აკრიტიკებენ ივანიშვილს ან დემოკრატიას საქართველოში და ა. შ?

— არ ვიცი, ამაზე პასუხი არ მაქვს.

მე შემიძლია ზოგადად გითხრათ, რომ სამოქალაქო სექტორი ჩვენთან ძალიან სუსტია. მაგალითად, როცა პრემიერმა საარჩევნო პერიოდში გამოაცხადა მორატორიუმი, რომელიც იყო აბსოლუტურად უკანონო, არც ერთს ხმა არ ამოგვიღია.

— ევროპელებმა მოგვიწონეს.

— საკითხავია ვინ. მე არ დავუჯერე საკუთარ თვალებს და გადავამოწმე იურისტებთან: ეს ნიშნავდა იმას, რომ პრემიერს ეთქვა, ვაჩერებ დროებით კონსტიტუციის 44-ე მუხლის მოქმედებასო, სადაც წერია, რომ კანონის წინაშე ყველა ერთნაირად აგებს პასუხს. ვინმემ ხმა ამოიღო? არა!

— თქვენი საუბარი იქითკენ მიდის, რომ შეგვიძლია ვთქვათ — ღარიბაშვილი დიქტატურისკენ მიექანება.

— ამ ეტაპზე ამ ტერმინს ვერ შევუსაბამებ. დიქტატურა სხვაა, ეს არის უფრო ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემა.

— ზურგს ვინ უმაგრებს ამ სრულიად ახალგაზრდა, პოლიტიკურად გამოუცდელ მინისტრს?

— მე ამაზეც არაერთხელ მითქვამს. ზურგს უმაგრებს „ქართული ოცნების“ ეკლექტური კოალიცია, სადაც ბევრს ერთმანეთი არ მოსწონს. ამ კოალიციაში ღარიბაშვილს უყურებენ როგორც ძალაუფლებისა და კეთილდღეობის წყაროს. ღარიბაშვილი დღეს მათთვის არის იგივე ივანიშვილი.

— ბატონო პეტრე, თქვენ ზემოთ გააკრიტიკეთ ძალოვანი სისტემა. პროკურატურა. რას იტყვით საერთაშორისო დონის პროკურორების ჩამოყვანაზე?

— ძალიან კარგია, ხელისუფლება ხედავს, მათივე უნიათობის გამო, თუ როგორ აღიქვამს საერთაშორისო საზოგადოება მძიმე დანაშაულებს პოლიტიკურ საქმეებად. ამიერიდან, ალბათ, ასეთი კითხვები მოიხსნება...

— ვინაიდან პროკურატურაზე ვსაუბრობთ, მინდა, გკითხოთ კიწმარიშვილის საქმეზე. თქვენ რა შთაბეჭდილება გრჩებათ?

— გარდაცვალებამდე ერთი კვირით ადრე შემთხვევით შევხვდი ეროსი კიწმარიშვილს. „პრაიმ-ტაიმში“ ჩემი ბრიფინგი იწყებოდა, მისი დამთავრდა და ამ დროს შუალედში ვისაუბრეთ. ძალიან ბევრი გეგმა ჰქონდა. ხალისით ლაპარაკობდა. ამდენად თვითმკვლელობას გამოვრიცხავ!

— უკავშირდებოდა თუ არა მისი გეგმები „რუსთავი-2“-ს?

— „რუსთავი-2“ არ ახსენა, მაგრამ თქვა, რომ გადაცემების გაკეთებას აპირებდა. მან უფრო დეტალურად არჩევნებში დამარცხებაზე და მომავალ არჩევნებზე ილაპარაკა.

მე ვერც იმას ვამტკიცებ, რომ ეს იყო მკვლელობა. თუმცა, აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ თუკი ეს მოხდა, ამას ხელისუფლება არ გააკეთებდა. აი, ნაცისტების ნარჩენებისთვის კი ასეთი რამე უცხო არ არის. მეორეც, ეროსი არ ერიდებოდა კონფლიქტებს და, შესაძლოა, პიროვნული შუღლიც ჰქონდა ვინმეს. თუ გახსოვთ, ეროსიმ დეტალურად ილაპარაკა სრული სიმართლე სააკაშვილის ავანტიურაზე რუსეთ-საქართველოს ომის დროს. ამის გამო საპარლამენტო კომისიის სხდომაზე გივი თარგამაძემ ფანქარიც კი ესროლა...

მოკლედ, დაველოდოთ გამოძიებას.

— მოდით ერთგვარად შევაჯამოთ ჩვენი საუბარი. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ელოდებით თუ არა მინისტრთა კაბინეტის ცვლილებების მეორე, კიდევ უფრო სერიოზულ ეტაპს?

— ჩემი აზრით, ღარიბაშვილი არ მიბაძავს სააკაშვილს და მოერიდება სამთავრობო კარუსელს. მაგრამ როდესაც სისტემა უფრო და უფრო გამოააშკარავებს თავის არაეფექტიანობას, შეიძლება, დღის წესრიგში დადგეს განტევების ვაცის ძებნა. მე კი ვამბობ, რომ როცა სისტემა მანკიერია, მაშინ პიროვნებები უძლურები ხდებიან. ჩემი აზრით, ჩვენ — საზოგადოება, თუ უფრო მეტი პასუხისმგებლობით მივუდგებით ხელისუფლებას და მის ქმედებებს კრიტიკულად, ოღონდ ობიექტურად შევაფასებთ, ეს არ მოხდება!

ესაუბრა
თეა მოსია

თხუთმეტი წლის წინათ 1999 წლის 23 ივლისს, ყველასთვის მოულოდნელად, საქართველოს და საზღვარგარეთის ტელეარხებით გავრცელდა სპეციალური ინფორმაცია, რომ ორბიტაზეა პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი — დიდგაბარიტიანი გასაშლელი ოფსეტური რეფლექტორი.

საქართველოსთვის ეს იყო განსაკუთრებული მნიშვნელობის ისტორიული მოვლენა. ქართველთა ნიჭის, შემოქმედებისა და მიზანდასახული შრომის შედეგად შექმნილი ნაკეთობა პირველად გასცდა დედამიწის მიზიდულობას და გავიდა უკიდეგანო კოსმოსში. ცნობილი მოვლენების გამო გამარჯვებას მონატრებულ ქართველთათვის ეს იყო ეროვნული სიამაყის, მიზნისკენ სწრაფვის და მისი მიღწევის ემოციური მუხტი.

XX საუკუნის ბოლოს საქართველომ შეძლო, შესულიყო მსოფლიოს „კოსმოსურ“ სახელმწიფოთა მცირერიცხოვან და საპატიო ჩამონათვალში. ჩვენმა ქვეყანამ კოსმოსურ ორბიტაზე გაიყვანა არა მხოლოდ ქვეყნის სიმბოლო, არამედ მეცნიერებატევადი, მაღალტექნოლოგიური და სტრატეგიული ნაკეთობა — დიდი ზომის გასაშლელი კოსმოსური რეფლექტორი.

ორბიტაზე პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის გაშვება, მისი წარმატებული გაშლა, სრულმასშტაბიანი გამოცდები და დამოუკიდებელ ორბიტაზე გადაყვანა შეტანილია კოსმონავტიკის ისტორიის უმნიშვნელოვანეს ქრონიკათა ჩამონათვალში, ხოლო ქართული კოსმოსური სისტემა აღიარებულია ახალი ტექნოლოგიების დასაწყისად კოსმოსური ტექნიკის განვითარებაში.

ქართული კოსმოსური ობიექტი, როგორც პროგრესული ტექნიკური და ტექნოლოგიური პროდუქცია და მნიშვნელოვანი სამეცნიერო მიღწევა, ფართოდ აისახა საზღვარგარეთის სამეცნიერო ლიტერატურაში, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებში, ESA-ს, NASA-ს, NATO-ს და სხვა თემატურ ინტერნეტსაიტებზე, საქართველოს სამეცნიერო, სამეცნიერო-პოპულარულ და პუბლიცისტურ გამოცემებში.

2009 წელს, პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის ორბიტაზე გაშვების 10 წლისთავზე, თბილისში ევროპულმა კოსმოსურმა სააგენტომ — EiA-მ ჩაატარა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია დიდგაბარიტიან კოსმოსურ ობიექტებზე, რომელსაც მსოფლიოს მრავალი ქვეყნის გამოჩენილი მეცნიერი ესწრებოდა.

ორბიტაზე პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის გაყვანას და მის წარმატებულ გამოცდას საერთაშორისო საექსპერტო დასკვნების შედეგად მოჰყვა სერია საქართველოს ერთობლივი თანამშრომლობისა სხვადასხვა ქვეყნების კომპანიებთან — „Alania Aerospazio“ — (იტალია); „Alenia Aerospazio“ „Dornier Satellitesnsysteme“ — (გერმანია); მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტი — გერმანია და SA — ევროპული კოსმოსური სააგენტო.

ამ ღირსშესანიშნავ ფაქტთან დაკავშირებით ინტერვიუ ვთხოვე პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის გენერალურ კონსტრუქტორს **ელგუჯა მეძმარიაშვილს.**

ყველაზე ძლიერი განცდა — პასუხისმგებლობის გრძნობა სამშობლოს წინაშე

— ბატონო ელგუჯა, გთხოვთ, გაიხსენოთ 15 წლის წინანდელი პერიპეტიები. რას განიცდიდით მაშინ?

— მხოლოდ ოფიციალურ ინფორმაციას გავიხსენებ:

1999 წლის 16 ივლისს, 19 საათზე 37 წუთსა და 33 წამზე კოსმოდრომ ბაიკონურიდან რაკეტა-მატარებელმა ორბიტაზე კოსმოსური ხომალდის „პროგრეს-42“-ის გასაყვანად სტარტი აიღო.

კოსმოსურ ხომალდში იყო დაკეცილი პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი.

1999 წლის 18 ივლისს კოსმოსური ხომალდი შეუპირაპირდა ორბიტულ სადგურ „მირს“, რომელზეც იმყოფებოდა კოსმონავტების ინტერნაციონალური ეკიპაჟი.

1999 წლის 23-28 ივლისს კი ორბიტულ სადგურზე, ღია კოსმოსურ სივრცეში, წარმატებით გაიშალა და გამოიცადა პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი — 6,42 მეტრი გაბარიტის გასაშლელი რეფლექტორი.

1999 წლის 28 ივლისს პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი ჩამოსცილდა ორბიტულ სადგურს და დაიწყო მოძრაობა დედამიწის ირგვლივ, დამოუკიდებელ ორბიტაზე.

ყოველი წლის 23 ივლისი საქართველოში დაწესებულია „პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის დღედ“.

რაც შეეხება ჩემს განცდებს, მაშინ მხოლოდ ორი გრძნობა მამოძრავებდა.

პირველი, ეს იყო პასუხისმგებლობის გრძნობა სახელმწიფოს წინაშე. სიმართლე გითხრათ, ეს გრძნობა ჩემთვის არ იყო უცნობი და მას განვიცდიდი მაშინაც, როდესაც საბჭოთა პერიოდში ორბიტაზე გავიდა კოსმოსური სისტემა „კრაბი“ და ორბიტულ სადგურ „მირზე“ დაიდგა კონსტრუქცია „სოფორა“ და სხვა კოსმოსური თუ მიწისზედა კომპლექსები, რომელთა განხორციელებაში მე ვმონაწილეობდი.

მაგრამ პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის გაშვების დროს **წინა პლანზე გადმოვიდა გრძნობა პასუხისმგებლობისა საკუთარი სამშობლოს — საქართველოს წინაშე.** მერწმუნეთ, რომ ეს განცდა გაცილებით უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ყველა სხვა.



— და მაინც, რა ხდებოდა კოსმოსურ ორბიტაზე 1999 წლის 23-დან 28 ივლისის ჩათვლით?

— 23 ივლისს კოსმონავტთა ინტერნაციონალურმა ჯგუფმა დაიწყო ქართული რეფლექტორის ჯერ დამონტაჟება სპეციალურ კონსტრუქცია „სოფორაზე“, რომლის საბაზო ნაწილი 80-იან წლებში საქართველოში დამზადდა, ხოლო შემდეგ — მისი გაშლა.

23 ივლისს, გაშლის დროს მოხდა არასაშტატო კოსმოსური ვითარება, დაგეგმილი საშტატო ვითარებიდან გადახრა. მიზეზი უმნიშვნელო იყო: რთულ პირობებში, ღია კოსმოსურ სივრცეში მყოფმა კოსმონავტებმა, რეფლექტორის ძრავების ელექტროსადენი 27 ვოლტის ძაბვის მქონე ბუდის ნაცვლად გვერდით 7-ვოლტიანი ძაბვის ბუდეში ჩასვეს. ამის მიუხედავად, კონსტრუქციამ, რომელიც მრავალი შესაძლო სიძნელის გათვალისწინებით და სათანადო პირობებში საიმედო მუშაობის უნარის შენარჩუნების პრინციპით იყო დამზადებული, მაინც დაიწყო გაშლა, ოღონდ შენელებულ რეჟიმში. 23 ივლისს კოსმონავტებმა ღია კოსმოსურ სივრცეში ხუთ საათზე მეტი დრო დაჰყვეს და მთლიანად ამოწურეს სკაფანდრების ერთჯერადი რესურსი, რის გამოც ისინი იძულებულნი გახდნენ, შეეჩერებინათ ექსპერიმენტი და დაბრუნებულიყვნენ ორბიტულ სადგურში.

ექსპერიმენტი გაგრძელდა 28 ივლისს. ამ დროს კოსმონავტმა აღმოაჩინა, რომ ობიექტი არასწორად იყო ჩართული. საკმარისი იყო ელექტროკვება გადართულიყო 27 ვოლტზე, რომ ყველაფერი საშტატო რეჟიმში ჩადგა — კოსმოსური რეფლექტორი 100%-ით გაიშალა და მიიღო საპროექტო ფორმა.

თხუთმეტი წლის წინათ ორბიტაზე პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი გაიყვანეს

გამოცდების სრული ციკლით ჩატარების შემდეგ დაიწყო პროგრამის მეორე ეტაპის სამზადისი. პირველი ორბიტული სადგურ „მირიდან“ ქართული კოსმოსური ობიექტის — რეფლექტორის ჩამოცილება.

— თქვენ შეეხეთ კონსტრუქციის გამოცდებს კოსმოსში. თუ შეიძლება, უფრო დეტალურად გვითხრათ, როგორი იყო გამოცდების დროინდელი შედეგები?.

პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის — რეფლექტორის გამოცდამ დაადასტურა:

● ღია კოსმოსურ სივრცეში დიდი გასაშლელი“ ზუსტი და მაღალი სიხისტის რეფლექტორების შექმნის შესაძლებლობა კონსტრუქციის დაკეცილი მდგომარეობიდან ფუნქციურ მდგომარეობამდე ფორმის ტრანსფორმაციის გზით.

● კონსტრუქციის ფუნქციონალური ფორმის მიღება რეფლექტორის გაშლის პროცესების მართვით და მისი გაშლის ნებისმიერ სტადიაზე სრული კონტროლით.

● კონსტრუქციის საპროექტო ფორმის ფიქსაცია და მისი სტაბილური შენარჩუნება.

● რეფლექტორის კონსტრუქციის მიღწეული მაღალი სიხისტე და საკუთარი რხევების მაღალი სიხშირე.

● ამრეკლი ეკრანის მაღალი ხარისხის დაჭიმულობით პარაბოლოიდური ზედაპირის მიღწევა.

● რეფლექტორის ტრანსფორმაციით ფორმათწარმოქმნის ანომალიური პროცესების სრული გამორიცხვის შესაძლებლობა...

ბატონ ელგუჯას პირველად დაახლოებით 30 წლის წინათ შევხვდი და გაზეთ „კომუნისტში“ ვრცელი მასალაც გამოვაქვეყნე მისი საკონსტრუქტორო ბიუროს მუშაობაზე. კოსმოსთან დაკავშირებულ საკითხებზე მაშინ წერა, როგორც იტყვიან, უცხო ხილი იყო და პუბლიკაციაამ მკითხველებში დიდი რეზონანსი გამოიწვია.

მას შემდეგ ბატონი ეგლუჯა დიდად არ შეცვლილა (მისი პიროვნული თვისებები მაქვს მხედველობაში, ცხადია): ახლაც ისეთივე უპრეტენზიო, უბრალო და მარტივად საურთიერთობო კაცია. საკუთარ თავზე ბევრი ლაპარაკი არ უყვარს, მაგრამ, ან კი, რა საჭიროა, როცა მისი საქმენი ლაპარაკობენ მასზე?

ჰოდა, მინდა, რომ სწორედ ეს საქმენი „ვალაპარაკო“ და თამამად ვთქვა:

პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის ორბიტაზე წარმატებული გაშვება განაპირობა საქართველოში სამხედრო მეცნიერებათა დოქტორის, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრის — აკადემიკოსის, გენერალ-მაიორ ელგუჯა მეძმარიაშვილის მიერ კოსმოსური ტექნიკის და სამხედრო-საინჟინრო დარგის სამეცნიერო და ტექნიკური სკოლის ჩამოყალიბებამ და განვითარებამ, რასაც 35 წელზე მეტი ხნის ისტორია აქვს.

დაბოლოს, მცირეოდენი ინფორმაცია ოფიციალური მასალებისა და დოკუმენტების კრებულიდან — **„პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი და მისი გენერალური კონსტრუქტორი“**, რომელიც წიგნად არის შედგენილი და საქართველოს ეროვნულ არქივში ინახება.

ბატონი ელგუჯას მიერ დაფუძნებულმა ამ სკოლამ კოსმოსსა და დედამიწაზე შექმნა და რეალურად განახორციელა:

● ბალისტიკური რაკეტების სტარტის ადრეული აღმოჩენის, კოორდინატების განსაზღვრის და თვალთვალის, კოსმოსური სისტემის ორბიტული, ავტონომიური, თანამგზავრული, საინჟინრო კომპლექსი (გადაცემულია შეიარაღებაში);

● ბალისტიკური რაკეტების, მათ შორის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე „პერშინგ-2“-ის სტარტის ადრეული აღმოჩენის მობილური საინჟინრო კომპლექსი (გადაცემულია შეიარაღებაში);

● მობილური, ინვენტარული, სამხედრო მრავალმალიანი ხიდები — KM-01T; KM-02T. — მრავალჯერადი გამოყენების ინვენტარულ სამხედრო ხიდზე გაცემულია სახელმწიფო სერტიფიკატი (ხიდი აგებულია და მოქმედებს);

— საქართველოს ტერიტორიის და მასზე განლაგებული ობიექტების სამხედრო-საინჟინრო დანიშნულების კატალოგის შექმნა (დაინერგა დანიშნულების მიხედვით).

შესრულებულია სხვა მრავალი სამუშაოც.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მიღწევები მეცნიერების ორგანიზებაში:

სპეციალური საკონსტრუქტორი ბიუროს, საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტის და საგურამოს და ბორჯომის მთიანი ზონის სასტენდო კომპლექსების, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამხედრო-საინჟინრო შეიარაღების და სპეციალური ნაგებობების კათედრის, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო-საინჟინრო აკადემიის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის შექმნა, საქართველოში დამატებითი, რამდენიმე ათეული მილიონი დოლარის ეკვივალენტი თანხის შემოდინება, ასობით სამუშაო ადგილს შექმნა, ახალი ტექნოლოგიების შემოტანა და შეკვეთები წარმოებებში...

ახალ წარმატებებს ვუსურვებთ ამ მართლაც წარმატებულ პიროვნებას, მეცნიერებისა და წარმოების წარჩინებულ ორგანიზატორს, მაძიებელ მკვლევარსა და ხელმძღვანელს.

რუსლან რუსია

ბრძოლა პირველობის შენარჩუნებისთვის გრძელდება

სულ ახლახანს, ორი მსოფლიო ჩემპიონატი დასრულდა ბრაზილიაში: ერთი – ფეხბურთში, მეორე – პოლიტიკაში. ორივე წარმატებით წარიმართა, თუმცა, პირველმა თვით მასპინძელ ქვეყანას თავს ლაფი დაასხა და სამომავლო რევანშის ანაბარა დატოვა.

ბრაზილიის ფეხბურთს, თავისი არსებობის განმავლობაში, არასდროს განუცდია ესოდენ შეურაცხმყოფელი მარცხი, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზების თვალსაზრისით, ბრაზილიამ გაიმარჯვა.

დღეს, ყველა, როგორც ერთი აღიარებს, რომ ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში, ბრაზილიის ჩემპიონატი გამორჩეულია. ჩემპიონატის ორგანიზებულობამ და მისი ჩატარების სიმსუბუქემ მთელს მსოფლიოს დაანახა 200-მილიონიანი წარმატებული ბრაზილიის შესაძლებლობები. საშინაო ჩემპიონატში ბრაზილიის გუნდი მეოთხე აღმოჩნდა, არადა ქვეყანა პირველობას ვარაუდობდა.

ბრაზილიას არ გაუმართლა სპორტში, მაგრამ გაუმართლა პოლიტიკაში. მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის შემდეგ მან უმასპინძლა დიდ პოლიტიკურ ფორუმს – „ბრიკს“-ის სახელწოდებით. ამ შეხვედრაში თვით ბრაზილია იგულისხმება და მასთან ერთად მსოფლიოს ისეთი განვითარებადი ქვეყნები, როგორებიცაა: რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა.

თავისებური ლოგიკაა იმაში, რომ წინა მსოფლიო ჩემპიონატი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში გაიმართა, რომელმაც ესტაფეტა ბრაზილიას გადასცა. ამ უკანასკნელმა კი რუსეთს. სამივენი „ბრიკს“-ის წევრები არიან და დაბეჯითებით იღვწიან, ისე, როგორც ორგანიზაციის ორი წევრი ჩინეთი და ინდოეთი, მსოფლიო პოლიტიკის პლურალიზაციისთვის.

ბრაზილიის საკურორტო ქალაქ ფორტალეზაში გამართული სამიტი ბევრი რამით იყო აღსანიშნავი, უპირველესად კი შედეგით. „ბრიკს“-ის მე-6 სამიტში, მონაწილე სახელმწიფოების ლიდერებმა გამოაცხადეს საკუთარი საფინანსო პროექტის შემოღების თაობაზე, რომელმაც ჯეროვანი კონკურენცია უნდა გაუწიოს საავალუტო ფონდს და მსოფლიო ბანკს.

ორგანიზაციის წევრებმა აღნიშნეს, რომ სწავლობენ თანამშრომლობის ახალ სფეროებს, მათ შორის უმაღლესი სასწავლებლების დიპლომების აღიარების საკითხს, მოსახლეობის დასაქმების, საკადრო და დაზღვევის პოლიტიკას, საგარეო პოლიტიკის დაგეგმარების, საგარეო ვაჭრობის დაზღვევის თემებს, ელექტრონული ვაჭრობის სფეროში სემინარების ჩატარების საკითხს და სხვა.

სამიტმა დაადგინა „ახალი განვითარების ბანკის“ დაარსების და სავალუტო რეზერვის (100 მილიარდი დოლარი) შექმნის თაობაზე.

თავისთავად იბადება კითხვა – შეწყვეტენ „ბრიკს“-ის წევრი სახელმწიფოები საერთაშორისო სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის დაფინანსებას? ჩინეთი, ინდოეთი, ბრაზილია დამოკიდებული არიან მსოფლიო ბანკის დაფინანსებაზე, მაგრამ საფრთხე იმისა, რომ ეს ასე მოხდება, არის, თუ არ შეიცვალა მსოფლიო საფინანსო სისტემის ხასიათი.

ფრანგული „ლე მონდი“ წერს: – „ბრიკს“-ის წევრებს სურთ, შეეწინააღმდეგონ აშშ-ს, მაგრამ ჯერჯერობით მათ არ აქვთ საერთო ალტერნატიული პროექტი, რომელიც შეცვლის მსოფლიო საფინანსო სისტემას“.

ჯერჯერობით და ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან თვით ორგანიზაცია 6 წელიწადია არსებობს, ხოლო მისი წევრების დაჟინებული სურვილი – შეიცვალოს მსოფლიოს პოლიტიკური და საფინანსო კონსტიტუცია – იმდენად დიდია, რომ ძნელია, მას წინ რამე აღუდგეს.

მაინც რით არის გამოწვეული ამ ხუთეულის გეგმები?

„ბრიკს“-ის შექმნით გაჩნდა გზა დაკარგული მსოფლიო ბალანსის აღსადგენად, მსოფლიო სტაბილურობის აღდგენისა და განვითარებისთვის. პირველი სამიტი, 2009 წელს გაიმართა ქ.ეკატერინბურგში. თვალი შევავლოთ „ბრიკს“-ის სტატისტიკას: ერთიანი ეროვნული პროდუქტი მსოფლიოს 27%-ია, ელექტროენერგიის მოხმარება – 35%, ოქროსა და ვალუტის რეზერვი – მსოფლიო რეზერვის 40%, „ბრიკს“-ის ქვეყნებში მსოფლიო მოსახლეობის 43%.

„ბრიკს“-ის მნიშვნელობა არა მარტო ამ მშრალი ციფრებით გამოიხატება. ამ ორგანიზაციას სხვაც აქვს - ფართო წარმომადგენლობა ცივილიზაციურ და სოციო-კულტურულ დარგში. მონაწილე ქვეყნები არიან მთავარი წარმომადგენლები მსოფლიოს 5 ცივილიზაციის არეალისა, რაც თავისთავად უწყობს ხელს მათ, გულთან ახლოს მიიტანონ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის პრობლემები.

მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა და რუსეთის წინააღმდეგ ვაშინგტონ-ბრიუსელის სანქციების პრაქტიკამ თავისთავად გამოიწვია ორგანიზაციის მიერ ახალი საწინააღმდეგო მექანიზმების შემოღების აუცილებლობა – საერთაშორისო ანგარიშსწორების ახალი სისტემა, კოლექტიური სადაზღვევო ფონდის დაარსება და სხვა. გარდა ამისა საინფორმაციო თანამშრომლობის ჩამოყალიბება.

იმთავითვე ნათელი იყო, რომ „ბრიკს“-ის შექმნა და მისი საერთაშორისო ეკონომიკურ-პოლიტიკურ დონეზე აყვანა, უდავოდ გამოიწვევდა კოლექტიური დასავლეთისა და აშშ-ის გაღიზიანებას. „ბრიკს“-ის სახით ამ უკანასკნელმა მიიღო საკუთარი ჰეგემონიზმის საწინააღმდეგო გამოწვევა. და ნაცვლად იმისა, რომ მას გაცილებით ნაკლები კონფრონტაციული გზა აერჩია, ანუ „ბრიკს“-თან საერთო ენის გამოძებნის გზა, მან ნაცადი, ძველი მეთოდი გამოიყენა - კონფრონტაციის და დაპირისპირების.

სიბერეში შესულმა ჰეგემონმა, რომელსაც შემოაკლდა ვასალთა მხარდაჭერა - კონფრონტაციის გარდა ვერაფერი მოიფიქრა. „ბრიკს“-ს თავისთავად აქვს, როგორც ავტორიტეტი, ისე ძალა გაუმკლავდეს გამოწვევას და შესაბამისი პასუხი გასცეს მას. ცხადია, აღნიშნულს არა მარტო შიდა კონსენსუსი სჭირდება, არამედ დრო და, რაც მთავარია, დაძაბული შრომა.

მეექვსე სამიტი იმითაც იყო აღსანიშნავი, რომ მეორე სამუშაო დღე ლათინური ამერიკის იმ ქვეყნებთან შეხვედრას დაეთმო, ვინც იზიარებს „ბრიკს“-ის იდეას. ასეთთა რიცხვი ჯერჯერობით 12-ია, მომავალში კი ზრდა უნდა ვივარაუდოთ.

„ბრიკს“-ის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საპირწონედ ვაშინგტონმა უმალ გამოაცხადა სადამსჯელო ღონისძიება – მოსკოვისთვის ახალი, ანუ ე.წ. ეკონომიკური სანქციების დაწესების მესამე ფაზა. საბაბი – უკრაინაში მიმდინარე სამოქალაქო ომში რუსეთის აქტიური ჩარევა. არადა, თუ ვინმე დაბეჯითებით ითხოვს ომის შეჩერებას და ეუთოს სადამკვირვებლო მისიის აქტიურ ჩარევას – რუსეთია.

უფრო მეტიც, რუსეთი აცხადებს, რომ მზადაა თავის საზღვრებზე უკრაინასთან, განალაგოს ეუთოს სადამკვირვებლო მისია, რათა დაარწმუნოს დასავლეთი, რომ არავითარ სამხედრო ტექნიკისა და ცოცხალი ძალის (მეომრების) რუსეთიდან აღმოსავლეთ უკრაინაში შესვლა-შეტანა არ ხდება. რატომღაც ამ წინადადებას არც ვაშინგტონი და არც კიევი არ გამოხმაურებიან, რაც იმის მაუწყებელია, რომ ისინი მხოლოდ რიტორიკის დონეზე მოითხოვენ საომარი ვითარების ჩაცხრომას და არა საქმით.

კიევის დღევანდელი ხელისუფლება, ვაშინგტონის და მხოლოდ ვაშინგტონის მარიონეტი, არაფრად აგდებს ევროპელთა გამუდმებულ შეხსენებას სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინის მეამბოხეებთან მოლაპარაკების გამართვის თაობაზე. თითქოს, ეს მოლაპარაკება დაიწყო, მაგრამ სერიოზული გაგრძელება აღარ ჰქონია. უკრაინის პრეზიდენტი, რომელიც თითქოს თანახმაა მსგავსი მოლაპარაკების, მეორე წუთში საწინააღმდეგოს აკეთებს და ეს მეორე წუთი ვაშინგტონთან კონსულტაციის შემდეგ დგება. ყოველივე ამას კი უდიდესი მსხვერპლი და ლტოლვილთა დიდი ნაკადი ახლავს თან.

უკრაინის შეიარაღებული ძალების სადამსჯელო ოპერაციას უდანაშაულო ადამიანების სიცოცხლე ეწირება. გარდა ამისა, ნადგურდება სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინის ქალაქების ინფრასტრუქტურა. უკრაინის მოქალაქეები იძულებული არიან, გადალახონ რუსეთის საზღვარი და თავშესაფარი მოითხოვონ იქ. ბოლო მონაცემების მიხედვით ნახევარი მილიონი ადამიანი იმყოფება რუსეთში – უკრაინიდან გამოქცეული, ცარიელ-ტარიელი, შეშინებული და იმაზე მაფიქრალი, რომ სამარადისოდ უარი თქვას უკრაინისკენ გახედვაზე. მათი მიზანი - რუსეთში დარჩენა და იქ ახალი ცხოვრების დაწყება. რას ნიშნავს ყოველივე ეს?

ერთ მარტივ პროექტს, რომელსაც დაუფარავად მუდამ გაიძახის კიევის „მთავრობა“ - რუსული წარმოშობის მოქალაქეებისგან უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთის განთავისუფლება.

უკრაინის სადამსჯელო ოპერაცია, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინის ტერიტორიის მოსახლეობიდან განთავისუფლებას გულისხმობს, ეუთოს დამკვირვებლებმაც თავიანთი თვალით დაინახეს. მათი აზრით, „სეპარატისტების“ წინააღმდეგ კი არ მიმდინარეობს საომარი მოქმედება, არამედ მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ.

შედეგი სახეზეა – დანგრეული საცხოვრებელი სახლების, საყოფაცხოვრებო ობიექტებისა და მშვიდობიანი მოქალაქეების ხოცვის სახით. ასეთ დროს, ნაცვლად იმისა, რომ ვაშინგტონმა სხვაგვარად, მკაცრად მოსთხოვოს პასუხი კიევს, პირიქით, ახალისებს მას და ნაცვლად ცეცხლის შეწყვეტისა, ომის ესკალაციისკენ მოუწოდებს.

უკრაინული სამხედრო პოლიგონი სხვა საქმისთვისაა გამოგონილი. მისი დანიშნულება, დღესავით ნათელია, თუმცა, მისაღები დღევანდელი კიევის მთავრობისთვის. ეს პოლიგონი რუსეთისთვისაა გამოგონილი, მისი დაჩოქებისთვის, მსოფლიო არენაზე დისკრედიტაციისა და გაშავებისთვის.

ამ საქმეში ჰეგემონს, უდავოდ ხელს უწყობს ევროპელი პარტნიორი „ევროკავშირი“, თუმცა, ხშირად მასაც უჭნდება ეჭვი, მაგრამ რა გაეწყობა, საკუთარი სურვილით გაჰყო თავი იმ ამერიკულ უღელში, ისე როგორც საქართველომ ევროკავშირის უღელში.

საქართველოს პარლამენტმა რატიფიკაცია გაუკეთა ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებას და ისეთი ვერბალური ზარ-ზეიმი მოაყოლა – ესაოდა ახლად იშვა ქვეყანაო. არადა იმ უღელში გაჰყო თავი, რომელსაც სუვერენიტეტი ნამდვილად არ ჰქვია. ქართველ პარლამენტარებს „გაბედნიერება“ მიუღოცა ევროკავშირის წევრობით დავრდომილმა ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

ბულგარეთი რა მოსატანია, როდესაც მძიმეწონიანი გერმანია ლამისაა ფინანდაზად გაეგოს ამერიკელ ობამას. გასაოცარია მისი ქცევაც. რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრისას ერთ პოზიციას აფიქსირებს, ხოლო ობამასთან სატელეფონო საუბრის შემდეგ – მეორეს. ასე იყო ამჯერადაც. ბრაზილიაში, პუტინთან შეხვედრის შედეგი, ობამასთან სატელეფონო საუბრის დროს შეიცვალა და თუ მთლად არა, მერკელმა ნაწილობრივ მხარი დაუჭირა ობამას წინადადებას სანქციების დაწესების თაობაზე.

ესეც თქვენი ევროპა და ევროპული პრინციპულობა. ესეც თქვენი მერკელი – ამერიკელთა მიერ არაერთხელ შეურაცხყოფილი სატელეფონო საუბრების მოსმენით და ა.შ.

მალაიზიის თვითმფრინავის კატასტროფასთან დაკავშირებით მერკელის აზრის ცვალებადობა აოცებს კაცს. ჯერ განაცხადა, რომ გამოძიებამდე არ შეიძლება ვინმეს დადანაშაულება, ხოლო შემდეგ, ობამასთან სატელეფონო საუბრით გაბრუებულმა, დაურეკა საფრანგეთის პრეზიდენტ ოლანდს და მოუწოდა, არ მიჰყიდოს რუსეთს სამხედრო გემი „მისტრალი“.

მერკელის გადაწყვეტილებას ხელი შეუწყო ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის კემერონის სატელეფონო ზარმა. ბრიტანეთი, როგორც ყოველთვის, მზადაა, შეასრულოს ვაშინგტონის ნებისმიერი დავალება.

ფორტალეზას მე-6 სამიტი რომ უღრუბლოდ არ ჩაივლიდა, იმთავითვე იყო ცნობილი. ისიც ცნობილი იყო, რომ აშშ-ის ადმინისტრაცია ყველაფერს იღონებდა მოსკოვის წარმატებისთვის ტყუილ-მართალი ბარიერებით, მეტადრე ცილისწამებით, პრობლემები შეექმნა. მალაზიის თვითმფრინავის კატასტროფამ ჰაერივით მიუსწრო, ამერიკას. მიუსწრო, თუ ...

ძალიან ბევრი კითხვა ჩნდება თვითმფრინავის დაღუპვასთან დაკავშირებით. გაეცემა თუ არა მათ კომპეტენტური პასუხი, არავინ იცის.

თვითმფრინავის კატასტროფიდან დღემდე, ოფიციალური ვაშინგტონის ქცევა აშკარა მანიშნებელია იმისა, რომ თვითმფრინავის „კარტი“ სწორედ ისაა, რამაც საფუძვლიანად უნდა შეურყიოს რუსეთს მსოფლიო ავტორიტეტი, გამოიყვანოს ის აგრესორი, მზაკვარი ქვეყანა, რეიგანისა არ იყოს – ბოროტების ბუდე. როდესაც აშშ-ის პრეზიდენტი, გამოძიების დაწყებამდე აცხადებს, რომ თვითმფრინავი პრორუსულმა ძალებმა ჩამოაგდეს, რუსეთის დახმარებით, ყველაფერი ნათელია – დამნაშავე გამოვლენილია და დამნაშავის დამხმარე რუსეთიც.

ნაწილობრივ მან უკვე მიაღწია საწადელს. დასავლური მედია და ექსპერტები დაბეჯითებით ატრიალებენ ანტირუსულ „პლასტინკას“, განსაკუთრებით ანტიპუტინურს და ნაცვლად იმისა, წამით მაინც ყური დაუგდონ "დამნაშავე" რუსეთის არგუმენტებს, თავისას (ვაშინგტონისას) გაიძახიან.

არადა არგუმენტები უდავოდ სერიოზულია და თუ მთლად არ არის ამერიკელთა მიერ სიმართლე და ჭეშმარიტება ფეხქვეშ გათელილი, მიუმხრობელმა საგამოძიებო კომისიამ ყურადღება უნდა მიაქციოს მათ.

რა არგუმენტები აქვს რუსეთს?

პირველი – საომარი პერიოდის განმავლობაში, უკრაინის ხელისუფლებამ რატომ არ აკრძალა სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინის საჰაერო სივრცის გამოყენება?

მეორე – უკრაინელმა (კიევი) დისპეტჩერებმა რატომ აიძულეს ლაინერის კაპიტანი, შეეცვალა ფრენის კურსი 500 კილომეტრით ჩრდილოეთისკენ, ანუ იმ ტერიტორიისკენ, სადაც მიმდინარეობს აქტიური ომი?

მესამე – რით ამტკიცებს კიევის ხელისუფლება და მასთან ერთად აშშ-ის ადმინისტრაცია, რომ თვითმფრინავი მეამბოხეებმა ჩამოაგდეს?

მეოთხე – რით ამტკიცებს კიევის ხელისუფლება, რომ მეამბოხეებს აქვთ ისეთი იარაღი, რომელიც თავისუფლად ჩამოაგდებს ათი კილომეტრის სიმაღლეზე მფრენ თვითმფრინავს?

უკრაინის უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ შესაბამისი რაკეტის ქონა უკრაინის მეამბოხეებს არაფერს აძლევს, ვინაიდან რაკეტის გაშვებას ესაჭიროება კვალიფიციური სამხედრო სპეციალისტები. კვალიფიციური სამხედრო სპეციალისტები კი რუსეთს ჰყავს, რომლებიც შევიდნენ უკრაინის ტერიტორიაზე, ისროლეს, ჩამოაგდეს მალაიზიის თვითმფრინავი, ხოლო შემდეგ დაბრუნდნენ რუსეთში.

ამ ვერსიის გაბათილება შეიძლება, თუკი დამოუკიდებელი ექსპერტები არატენდენციურად მიუდგებიან საქმეს. იბადება ერთობ უბრალო კითხვა – რაში სჭირდებოდა რუსეთს სამოქალაქო თვითმფრინავის ჩამოგდება?

არც არაფერში. და თუ, როგორც უკრაინის ხელისუფლება აცხადებს, რომ რაკეტას რუსი სპეციალისტები სჭირდებოდა, ასეთი სპეციალისტები, უდავოდ დაადგენდნენ, რომ თვითმფრინავი, სამოქალაქოა, თანაც უცხო ქვეყნის.

გამოძიება მალე დაიწყება, თუმცა, რამდენ ხანს გასტანს ან რა შედეგს დადებს ძნელი სათქმელია. არ არის გამორიცხული გამოძიებაზე ზეწოლაც, მაგრამ ის, რომ რუსეთი ვერასდროს ჩამოირეცხავს აშშ-ის პრეზიდენტის მიერ ნასროლ დამადანაშაულებელ ტალახს, ფაქტია.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

◎ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲨᲘ

„ᲕᲔᲜᲓᲝᲑᲘᲗ ᲘᲛ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ“

ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲨᲘ ᲞᲝᲡᲢᲔᲑᲘ ᲒᲐᲓᲐᲜᲐᲬᲘᲚᲓᲐ. ᲗᲣᲙᲘ ᲒᲐᲡᲣᲚ ᲙᲕᲘᲠᲐᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲐᲮᲚᲐᲓᲐᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲛᲝᲐᲓ�გᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲝᲡᲢᲘ ᲙᲕᲚᲐᲕ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲡ ᲔᲠᲒᲝᲗ. ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲛᲐᲠᲗᲘᲕᲘᲐ — ᲕᲔᲜᲓᲝᲑᲘᲗ ᲘᲛ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ.

კერძოდ, საკრებულოს თავმჯდომარის გიორგი ალიბეგაშვილის მოადგილეების პოსტები ხმათა უმრავლესობით გიორგი ახვლედიანმა და მალხაზ მჭედლიშვილმა დაიკავეს.

ახალი რეგლამენტით, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს სამი მოადგილე უნდა ჰყავდეს, რომლებიც საკრებულოში არსებული კომისიების კურირებას მოახდენენ. თავის მხრივ, 11 კომისიის ხელმძღვანელებიც საკრებულოს უმრავლესობამ „ქართული ოცნების“ შტატით დააკომპლექტა.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრი ჯაბა სამუშია საკრებულოს სხდომის დაწყებამდე აცხადებდა, რომ საკრებულოს თავმჯდომარეს პოლიტიკური ნიშნით შერჩეული მოადგილეები აღარ ეყოლებოდა. ამის მიუხედავად, საკრებულოს ოპოზიციონერი წევრები მაინც მიიჩნევენ, რომ დედაქალაქის მრავალპარტიულ საკრებულოში ოპოზიციისთვის თანამდებობა არ გამოინახა და საკრებულოს ახალი შემადგენლობა დაადგა იმ გზას, რასაც 2006 წელს ნაცმოძრაობის საკრებულო, რომელიც მოქმედებდა პრინციპით — მოგებულს მიაქვს ყველაფერი.

საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი ალეკო ელისაშვილი მიიჩნევს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ძალზე ცუდი პოლიტიკური კულტურა გამოავლინა, რადგან სააკაშვილის დროსაც კი დეკორატიულად და ზრდილობის გულისთვის ოპოზიციას რაიმე თანამდებობას შესთავაზებდნენ ხოლმე, დღეს კი „ქართულმა ოცნებამ“ თანამდებობის 100% აიღო. მაშინ, როცა „ქართულ ოცნებას“ არჩევნები 100%-ით არ მოუგია.

„საქმისთვის უფრო მართებული იქნებოდა, ოპოზიციისთვის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის პოსტი მაინც შეეთავაზებინათ. ჩემს თავზე არ ვსაუბრობ, სარევიზიო კომისიის არაფერი გამეგება, ამის ამბიცია ნამდვილად არ მაქვს. ძალიან ცუდი და დასანანია, პირველ რიგში „ქართული ოცნებისათვის“ და, ზოგადად, ქალაქისთვის, როდესაც საკრებულო ასე იწყებს მუშაობას“, — აღნიშნა ალეკო ელისაშვილმა.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე გიორგი მუსხელიშვილი კი ამბობს, რომ ისინი უფრო მეტად ენდობიან იმ ადამიანებს, რომლებიც მათი გუნდის წევრები არიან და მათთან ერთად ამჯობინებენ საქმის კეთებას.

კოალიცია „ნინო ბურჯანაძე — ერთიანი ოპოზიციის“ წარმომადგენელი, საკრებულოს დეპუტატი ზაზა ვეკუა for.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ „დემოკრატიულმა მოძრაობამ“ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, შემცირებულიყო თავმჯდომარის მოადგილეებისა და კომისიის წევრთა რაოდენობა. თუმცა, რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, მათ წინადადებას მხოლოდ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ დაუჭირა მხარი.

„მიგვაჩნდა, ეს არის გაბერილი შტატები და ფულის ხარჯვა. როდესაც საშტატო განრიგზე იყო საუბარი, დავაყენე საკითხი, რატომ არ არის არსად გათვალისწინებული ოპოზიცია?! მივმართე „ოცნების“ წარმომადგენლებს, ნუ გავიწყდებათ, რომ ნაცმოძრაობის მიერ მიღებული საარჩევნო კოდექსით, რეალურად დედაქალაქში მხარდაჭერის 46% მიიღეთ, ანუ პროპორციული სიის მიხედვით, 54%-მა მხარი არ დაგიჭირათ, თუმცა, საკრებულოში წარმოდგენილი ხართ 75%-ით ერთმანდატიანი ოლქების ხარჯზე, როგორც ამას აკეთებდა ნაცმოძრაობა. ამ კონსულტაციების დროს მივმართე საკრებულოს თავმჯდომარეს გიორგი ალიბეგაშვილსაც და ვუთხარი, ახლა შეიძლება ფიქრობთ, რომ ამ გუნდიდან ვიღაცამ მანქანა უნდა აიღოს, ვიღაცამ სავარძელი უნდა მიისაკუთროს, მაგრამ ეს თქვენ, როგორც თავმჯდომარეს, ძვირად დაგიჯდებათ, რადგან ყველანაირ თანამშრომლობაზე უარი თქვით. ჩვენ მზად ვიყავით, უარი გვეთქვა თავმჯდომარის მოადგილეობაზე და კომისიის თავმჯდომარეობაზეც. ვუთხარით, არ გეგონოთ, ჩვენ თანამდებობები გვჭირდება, ეს სჭირდება საკრებულოს. არა მარტო განვითარებულ, არამედ ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებშიც კი სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ყველგან ოპოზიციიდანაა, რადგან ერთმა გუნდმა საკუთარი თავი როგორ უნდა შეამოწმოს?!“ — აცხადებს ზაზა ვეკუა და „ქართული ოცნების“ წევრს ჯაბა სამუშიას პასუხობს, რომ დღეს თბილისის საკრებულოს ზუსტად პოლიტიკური ნიშნით შერჩეული თავმჯდომარის მოადგილეები ჰყავს.

„ქართული ოცნების“ წარმომადგენელი საკრებულოში დავით ზურაბიშვილი for.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ „ქართული ოცნება“ მრავალპარტიული კოალიციაა და ეს არ არის ერთი პარტია. მისი თქმით, კოალიციის წევრები და პარტიის წარმომადგენლები ისე ცხარედ კამათობენ ერთმანეთში, რომ ზოგჯერ მათ ოპოზიცია უფრო უჭერს მხარს, ვიდრე თავისივე უმრავლესობის წევრი. ასე მოხდა საკრებულოს წინა სხდომაზეც.

„გინდა თუ არა, ყველა ადგილი აიღო მმართველმა პარტიამო, სწორი არ არის. რაც შეეხება თავმჯდომარის მოადგილეებს და კომისიის თავმჯდომარეებს, ეს გადაწყდა კვოტების მიხედვით, თუ რომელ პარტიას რამდენი კვოტა ექნებოდა. კოალიციის ფორმატში იყო ამაზე თათბირი, კამათიც, იყო განსხვავებული მოსაზრებებიც, მაგრამ წარმოდგენილ კანდიდატებზე შევჯერდით“, — აცხადებს დავით ზურაბიშვილი და ფიქრობს, რომ წინა ხელისუფლების დროს ოპოზიციისთვის პოსტის შეთავაზება მხოლოდ ფორმალობა იყო. ამჯერად კი სასურველია, ოპოზიციის მონაწილეობა კანონმა განსაზღვროს. ამიტომ დავით ზურაბიშვილის თქმით, ყველა წარმომადგენლობით ორგანოში ოპოზიციას მოადგილის თუ კომისიის მაკონტროლებლის პოსტი ექნება.

ცნობისთვის, საკრებულოს კომისიები შემდეგნაირად გადანაწილდა: **სარევიზიო კომისია — ნუგზარ მალაღურაძე; იურიდიულ საკითხთა კომისია — თეიმურაზ კობახიძე; ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია — ჯაბა სამუშია; ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისია — გოჩა ბაბუნაშვილი; ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა კომისია — ირაკლი ფავლენიშვილი; ეკონომიკური განვითარებისა და საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისია — ლევან დარახველიძე; სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია — ძეთევან ჯოხაძე; ადამიანის უფლებათა დაცვის და საზოგადოებასთან ურთიერთობის კომისია — გულიკო ზუმბაძე; გარემოს დაცვის კომისია — შორენა ბუხრაშვილი; განათლებისა და კულტურის კომისია — თამარ ტალიაშვილი; სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია — ლია ჯახველაძე.**

საკრებულოს დეპუტატების გადაწყვეტილებით, საკრებულოში 9 ფრაქცია ჩამოყალიბდა, რომლებიც შემდეგნაირად გადანაწილდა: **ფრაქცია „ქართული ოცნება — რესპუბლიკელები“ — ხათუნა სამნიძე; ფრაქცია „ქართული ოცნება — საქართველოსთვის“ — რამინა ბერაძე; ფრაქცია „ქართული ოცნება — კონსერვატორები“ — ნინო გოგუაძე; ფრაქცია „ქართული ოცნება — ეროვნული ფორუმი“ — ავთანდილ დავითაძე; ფრაქცია „ქართული ოცნება — მრეწველები“ — ვლადიმერ ძნელაძე; ფრაქცია „ქართული ოცნება — თავისუფალი დემოკრატები“ — გიორგი მუსხელიშვილი; ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა — თბილისი“ — ირაკლი აბესაძე; ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ — სევდია უგრეხელიძე; ფრაქცია „დემოკრატიული მოძრაობა“ — ზაზა ვეკუა.**

ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲜᲝᲖᲐᲫᲔ

◎ ᲫᲘᲠᲡ ᲡᲘᲚᲐᲠᲘᲑᲔ!

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲒᲠᲐᲜᲢᲝ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲐᲮᲐᲚ ᲡᲐᲒᲠᲐᲜᲢᲝ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐᲡ ᲘᲬᲧᲔᲑᲡ ᲛᲐᲗᲗᲕᲘᲡ, ᲕᲘᲡᲐᲪ ᲡᲝᲤᲚᲐᲓ, ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ �გᲐᲠᲓᲐ, ᲠᲐᲛᲔ ᲡᲮᲕᲐ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲐ ᲡᲣᲠᲡ. ᲔᲡ ᲔᲕᲠᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲖᲝᲑᲚᲝ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲡ - „ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ �გᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ (ENPARD-ᲘᲡ) ᲐᲮᲐᲚᲘ ᲔᲚᲔᲛᲔᲜᲢᲘᲐ. ᲗᲣ ᲛᲐᲜᲐᲛᲓᲔ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲛᲘᲖᲐᲜᲘ ᲡᲝᲤᲚᲐᲓ Ა�გᲠᲝᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲬᲧᲝᲑᲐ ᲘᲧᲝ, ᲐᲮᲚᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲬᲧᲝᲑᲐᲪ �გᲐᲓᲐᲬᲧᲓᲐ.

კერძოდ, აგროწარმოების გარდა, გრანტები გაიცემა სოფლად სხვადასხვა ბიზნესის განვითარებისთვის, მათ შორის, აგროტურიზმისა და ა.შ., რაც ადგილზე ეკონომიკურ განვითარებასა და დასაქმებას შეუწყობს ხელს. ამისთვის არ იქნება აუცილებელი კოოპერატივები შეიქმნას.

თუმცა, ახლადშექმნილი კოოპერატივებისთვისაც არსებობს გეგმები — მათთვის ევროკავშირის პროგრამა დამატებით დაფინანსებასაც გამოყოფს და მათ წევრებს ბიზნესგანათლებითაც დაეხმარება. დამატებით თანხები გამოიყოფა კოოპერატივების სააგენტოსთვისაც, რომელიც თავისი პერსონალის კვალიფიკაციას აამაღლებს. დამატებითი ფული მიემართება ბიუჯეტშიც, რომ მთავრობამ აგროსექტორის განვითარება უკეთ შეძლოს.

ევროპის სამეზობლო პროგრამა „სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისთვის“ 2013 წელს დაიწყო და იგი საქართველოში სურსათის წარმოების ზრდისა და სოფლად სიღარიბის შემცირების მიზნით ევროკავშირმა შეიმუშავა.

პროექტის ხანგრძლივობაა სამი წელი — 2013 წლის მარტიდან 2016 წლის მარტამდე — და მას სოფლის მეურნეობის სამინისტრო სხვა დარგობრივ სამინისტროებსა და სასოფლო-სამურნეო მომსახურების ცენტრებთან ერთად ახორციელებს.

პროგრამა „**ENPARD**-საქართველოს“ მოსალოდნელ შედეგებს შორის არის: მცირე ფერმერებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება, სოფლის მეურნეობის სექტორში ჩართული ინსტიტუტების ფუნქციონირების გაუმჯობესება, სოფლის მეურნეობის ეროვნული სტრატეგიის განხორციელებისთვის ხელის შეწყობა.

პროექტის ბიუჯეტია 40 მილიონი ევრო, რომელიც გულისხმობს საბიუჯეტო დახმარებას, გრანტებს, საქართველოს მთავრობისთვის ტექნიკური დახმარების გაწევას და ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად თანადაფინანსებული პროექტების განხორციელებას.

როგორც პროექტის დაწყების წინ ითქვა, საქართველოში სურსათის წარმოების მოცულობის ზრდა და სოფლად სიღარიბის დონის შემცირება წარმატების მთავარი ინდიკატორები იქნება.

სწორედ სიღარიბის დონის შემცირების მიზნით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ პროგრამამ თავისი ძირითადი მიმართულება და დაფინანსების მასშტაბი ნაწილობრივ გააფართოვა და მასში ახალი კომპონენტები შეიტანა. სოფლად არა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო, არამედ სხვა ტიპის ბიზნესის განვითარებაა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა საქართველოს ეკონომიკისა და, განსაკუთრებით, სოფლის განვითარებისთვის, რადგან, როგორც ცნობილია, იმ პირობებში, როცა საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევარი სოფლად ცხოვრობს, სოფლის მეურნეობა მშპ-ს 8 პროცენტს შეადგენს. შესაბამისად, ევროკავშირის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სხვადასხვა ტიპის ბიზნესსაქმიანობის ხელშეწყობის შესახებ სოფლის ტიპის დასახლებებში, უდავოდ, მნიშვნელოვანი ნაბიჯია და, წესით, მომავალი წლების ეკონომიკურ მონაცემებზეც უნდა აისახოს.

ᲜᲘᲜᲝ ᲔᲕᲒᲔᲜᲘᲫᲔ,
ᲠᲐᲓᲘᲝ „ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ“

◎ სიგნალი დანარჩენი მინისტრებისთვის

ღარიბაშვილმა კურსი მენეჯერული ტიპის მინისტრებზე აიღო

პრეზიდენტის ყოფილი მრჩეველი ვანო მაჭავარიანი For.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ ღარიბაშვილი მთავრობას კიდევ ერთხელ შემოდგომისთვის გადაახალისებს.

For.ge **ვანო მაჭავარიანს** ესაუბრა.

— ირაკლი ღარიბაშვილმა საკადრო ცვლილება მთავრობის მუშაობის ეფექტურობის გაზრდით ახსნა, მაგრამ ეფექტური მუშაობის აუცილებლობისთვის ამ პროფილის მინისტრების შეცვლა რამდენად არის შედეგზე ორიენტირებული?

— პრემიერ-მინისტრს უნდა ჩამოაყალიბოს თავისი გუნდი იმ სტილზე რომელიც მას მიაჩნია, რომ მოერგება და უკეთეს შედეგს დადებს. ცხადია, რომ არჩევანი არაა პოლიტიკოსებს შორის, ახალი მინისტრები უფრო მენეჯერები არიან, რომლებიც უშუალოდ დაექვემდებარებიან პრემიერს. ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია ნდობა და ერთგულება, რომელსაც, როგორც ჩანს, პრემიერ-მინისტრი განსაკუთრებით ანიჭებს ყურადღებას. როგორც ჩანს, პრემიერს მიაჩნია, რომ არაპოლიტიკოსები, რომელსაც პოლიტიკური პასუხისმგებლობა ექნებათ პოლიტიკური გუნდის მიმართ, ამ ეტაპზე არაა საჭირო.

როგორც ჩანს, ამ ეტაპზე საჭიროა ისეთი ადამიანები, რომლებიც ბიუროკრატიულად მიუდგებიან ამ თემას და თავის სფეროებზე იქნებიან პასუხისმგებელნი. როგორც ჩანს, ეს არის ის, რაც ღარიბაშვილს დიდი ხანია, უნდა და ძალიან კარგი მომენტი იპოვა ამისთვის.

— თქვენ თვლით, რომ პრემიერს მასზე დამოკიდებული მინისტრები სჭირდება და არა ივანიშვილის გუნდი?

— ფაქტია, რომ ეს გადაწყვეტილება მიიღო უფრო მენეჯერული ტიპის მინისტრების მიმართულებით. ეს ადამიანები არ არიან „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ წრეებში ცნობილი სახეები. როგორც ჩანს, ამ გეგმას ღარიბაშვილი დიდი ხანია, ამუშავებს. როგორც ჩანს, ეს ვარიანტი მისაღები იქნება პარლამენტისთვის, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ ეს არის სიგნალი დანარჩენი მინისტრებისთვის, რომ მას სჭირდება შედეგი, რადგანაც მისთვის მნიშვნელოვანია მისი პოლიტიკური მომავალი, როგორც ლიდერის, რომელიც ცდილობს დამკვიდრდეს ქართულ რეალობაში. ის კონკრეტული ნდობა, რომელიც მიანიჭეს ამ ადამიანებს მათ სფეროებში, ეს უფრო ბიზნეს მიდგომაა, ვიდრე პოლიტიკური. ამიტომ, ვნახოთ, თუ გაამართლებს, ამას დრო აჩვენებს.

— თქვენ ამბობთ, რომ ღარიბაშვილი მთავრობას კიდევ ერთხელ შემოდგომისთვის გადაახალისებს, როგორ ფიქრობთ, ამ შემთხვევაში ცვლილება საგარეო მიმართულებას შეეხება?

— ჩვენ გვესმის, რომ ყველაფერი იდეალურად არ არის საგარეო მიმართულებით. შემიძლია, გითხრათ, რომ ძალიან ბევრი თემაა სამუშაო პროცესში, ბევრი თემა უფრო მეტ ყურადღებას იმსახურებს და უფრო კომპეტენტურობას. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემაა პრეზიდენტის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკურ ასპექტში ჩართულობა საერთაშორისო არენაზე.

არ მგონია, რომ ეს ცვლილებები იყოს სრულყოფილი, როგორც ჩანს, ამ ეტაპზე ეს არის მაქსიმუმი, რასაც ღარიბაშვილი აკეთებს. არ გამოვრიცხავ, რომ შემოდგომისთვის შედეგებისდა მიხედვით მოხდეს შემდგომი გადახედვა იმისა, თუ რა პროფილის მინისტრები შეიძლება კიდევ შეიცვალოს.

— იყო მოლოდინი, რომ ამ მინისტრების გარდა, ასევე ცვლილებები შეეხებოდა იმ სფეროებსაც, რომლის მიმართ საზოგადოებას ჰქონდა მეტი მოლოდინი. ეს არ მოხდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ცვლილება იქნება წლის ბოლოსკენ.

— ვარაუდების გაკეთება არ მინდა, მაგრამ შემიძლია, გითხრათ, რომ ეს არის პირველი ნაწილი იმ ცვლილებებისა, რომელსაც გაგრძელება ექნება შემოდგომისთვის. ამ ეტაპზე ჩვენ გვყავს ყოფილი პრემიერის მიერ შერჩეული მინისტრები, რომელთაც თავისი ურთიერთობა აქვთ ყოფილ პრემიერ-მინისტრთან უფრო მეტად, ვიდრე ახალ პრემიერ-მინისტრთან, შესაბამისად, ეს არის განმსაზღვრელი ფაქტორი მათი დარჩენის თვალსაზრისით. თუმცა, როგორც გითხარით, ღარიბაშვილი მთავრობის გადახალისებას შემოდგომისკენ მიუბრუნდება.

თამთა ძარჩავა

◎ სადაზღვევო სექტორი

რათა მოსავალი დაცული იყოს...

სოფლის მეურნეობაში ფულის დაბანდება საკმაოდ სარისკო საქმეა, რადგან საბოლოო შედეგს ხშირად განსაზღვრავს სტიქია. ამასთან, ჩვენში სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებას ხელს ისიც უშლის, რომ, მაღალი რისკების გამო, კომერციული ბანკები ამ სფეროს პროექტებისთვის სახსრებს ძალიან უხალისოდ გამოყოფენ, რის შედეგად იგი გამუდმებით „საფინანსო შიმშილს“ განიცდის. აგრარული სექტორისკენ ფინანსური სახსრების ნაკადის მიმართვის მეტად პერსპექტიული გზა სასოფლო-სამეურნეო პროექტების დაზღვევაა, რაც ბანკების რისკების ერთგვარი ფარი იქნება, გლეხებს კი საქმის უფრო თავისუფლად წარმართვის შესაძლებლობას მისცემს. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია ის, რომ საქართველოს მთავრობა აგროდაზღვევის სუბსიდირებას იწყებს, რაც სადაზღვევო ბაზარსაც გამოაცოცხლებს და კომბანკებისთვისაც სამოქმედოდ დამატებითი სტიმული იქნება.

აგროდაზღვევის შესახებ შესაბამისი კანონპროექტი, რომლის შემუშავებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველოს ფერმერთა ასოციაცია, პარლამენტს საკომიტეტო მოსმენებისთვის უკვე გადაეცა. ასოციაციის პრეზიდენტის **ნინო ზამბახიძის** განცხადებით, კანონპროექტის საფუძვლად ესპანეთში მიღებული მოდელია აღებული, ამასთან, გარკვეული ელემენტები სხვა ქვეყნების ამ ტიპის კანონმდებლობიდანაცაა გათვალისწინებული.

— საქართველო აგროდაზღვევითი მომსახურებისთვის მზად არის, რადგან სახელმწიფოს ამ სადაზღვევო პროდუქტის გამოყენებით პროდუქციის გაიაფება შეუძლია, — აცხადებს ფერმერთა ასოციაციის ხელმძღვანელი, თუმცა კი იმასაც აღნიშნავს, რომ სადაზღვევო კომპანიებთან ურთიერთობა თავდაპირველად გარკვეულწილად ჭირდა. რაც შეეხება თავად სადაზღვევო პაკეტებს, ნინო ზამბახიძის თქმით, მთავრობამ კანონპროექტში უშუალოდ სოფლის მეურნეობის მწარმოებელთა მიერ წამოყენებული საკითხები გაითვალისწინა, თუმცა, მთლიანად რა სახეს მიიღებს კანონი საბოლოოდ, ჯერჯერობით უცნობია.

— აუცილებელია, აგროდაზღვევა კონკრეტული იყოს, რადგან ფერმერისთვის მნიშვნელოვანია, ვთქვათ, სეტყვისგან, გვალვისგან, პირუტყვის დაავადებებისგან და ა. შ. დაზღვევა და არა ზოგადად, რაღაც დაუდგენელი საფრთხეებისგან თავის დაცვა. აქამდე კი, ფაქტობრივად, თუნდაც ჩამოთვლილი საფრთხეები კონკრეტულად არ იზღვეოდა, რადგან ძალიან დიდ სახსრებთან იყო დაკავშირებული, რისი საშუალებაც გლეხობას არ ჰქონდა. ახალი კანონპროექტით ასეთი კონკრეტიკა გათვალისწინებულია, — განაცხადა ნინო ზამბახიძემ.

აგროდაზღვევის სხვადასხვა პაკეტის ღირებულება, სოფლის მეურნეობის დარგისდა მიხედვით, განსხვავებული იქნება, რაც რისკების რეალური საფრთხის დონესა და მის ზარალიანობაზე დამოკიდებული.

ამასთან დაკავშირეიბთ, ცოტა ხნის წინათ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკმა აგროდაზღვევის პოტენციალის თაობაზე კვლევის ჩატარების შესახებ შეთანხმებას მოაწერეს ხელი. დოკუმენტის თანახმად, კვლევას საქართველოსა და ასევე სომხეთში, გერმანული ბანკი დააფინანსებს, მისი შედეგები კი სექტემბერში გახდება ცნობილი.

სწორედ ამ კვლევის საფუძველზე გადაწყდება ახლო მომავალში, აგროდაზღვევის მხოლოდ კომერციული ბანკები და სადაზღვევო კომპანიები განახორციელებენ, თუ ამ პროცესში აქტიურ მონაწილეობას სახელმწიფოც მიიღებს. გარდა ამისა, სოფლის მუერნეობის სამინისტროში აცხადებენ, რომ მთავრობის მიერ აგროდაზღვევის სუბსიდირება ნებისმიერ შემთხვევაში განხორციელდება, რაც, საექსპერტო შეფასებით, უაღრესად დადებითი მომენტია.

თავად აგროდაზღვევის კანონპროექტს, საქართველოს პრემიერ-მინისტრთან არსებულ ეკონომიკურ საბჭოზე განიხილავენ, პარლამენტი მისთვის საბოლოო სახის მიცემას საშემოდგომო სესიაზე შეუდგება.

ოთარ ტურაგელიძე

შეტყობინება კონტრაქტის მინიჭების შესახებ

პროექტის დასახელება:
შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მეორე პროექტი (SLRPII)

განმახორციელებელი სააგენტო: **საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი**

ქვეყანა: **საქართველო**
პროექტის ნომერი: P122204

სატენდერო დოკუმენტის/კონტრაქტის საიდენტიფიკაციო ნომერი: SLRPII/CS/SSS-06

კონსულტანტი: მარიამ ბახტაძე
მისამართი: საქართველო, თბილისი, ვარკეთილი, IV მ/რ, II რიგი, ბ.105
კონტრაქტის ხელმოწერის თარიღი: 17 ივლისი, 2014
შესყიდვის მეთოდი: ერთ პირთან მოლაპარაკება
ღირებულება: 22 500.00 ლარი
ხანგრძლივობა: 1 (ერთი) წელი
კონტრაქტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოები: SLRP II, SLRP III, KRRIP პროექტების მენეჯერის ასისტენტი

Contract Award Notification

Project Name: **Second Secondary and Local Roads Project (SLRP II)**

The project implementing Agency: **Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia**

Country: **Georgia**
Project Number: **P122204**

Bid/Contract Reference No: SLRPII/CS/SSS-06
Consultant: Mariam Bakhtadze
Address: Varketili IV Micro Region, II Line, Tbilisi, Georgia
Contract signature date: 17 July, 2014
Method of Procurement/Selection: Single Source Selection
Price: Gel 22 500.00 Gel
Duration: 1 (one) Year
Summary scope of contract: Assistant to Project/Contracts Manager for SLRPII, SLRPIII, KRRIP

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა შვიდი მინისტრი შეცვალა

22 ივლისს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა წარმოადგინა მთავრობის განახლებული შემადგენლობა. საკადრო ცვლილებები შეეხო შვიდი სამინისტროს ხელმძღვანელს – კულტურის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა, სოფლის მეურნეობის, რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის საკითხების და დიასპორის საკითხებისა. ამ დროს ორი გათავისუფლებული მინისტრი, რომლებიც მმართველი პარტიის შემადგენლობაში შედიოდნენ, ღარიბაშვილმა სხვა სამინისტროების თანამდებობების ნომინირებისთვის შემოინახა. კულტურის ახალი მინისტრის კანდიდატურა, პრემიერ-მინისტრის სიტყვებით გამოცხადდება ხვალ.

ქართული ოპოზიცია მთავრობაში ცვლილებას „ფასადურად“ მიიჩნევს

როგორც ღარიბაშვილმა განაცხადა, კაბინეტის განახლების მიზანია მთავრობის მუშაობის ეფექტიანობის ამაღლება – „იმისათვის, რომ შევასრულოთ ყველა დაპირება, რაც „ქართულმა ოცნებამ“ მისცა ქართველ ხალხს და სრულფასოვნად განვახორციელოთ დასახული ამოცანები“.

„ჩვენ უნდა გავაორმაგოთ ენერგია და მოტივაცია, მეტი სურვილი და მეტი ეფექტიანობა. ამიტომ მიმაჩნია, რომ უნდა გადავიდეთ ახალ რეჟიმზე და ჩვენ გვჭირდება მუშაობის სხვა ტემპი, ვინაიდან ჩვენ სხვა გამოწვევების წინაშე ვდგავართ... მთავარია, რომ ყველაფერი გამოსწორდეს დროულად“, – განაცხადა საქართველოს მინისტრთა კაბინეტის ხელმძღვანელმა, რომელმაც კადრების ცვლილების ანონსირება გააკეთა ბრიფინგზე 21 ივლისს.

იმასთან დაკავშირებით, რომ განახლდა მინისტრთა კაბინეტის ერთი მესამედი, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, აუცილებელია, რომ პრემიერ-მინისტრის მიერ წარმოდგენილი კანდიდატურები დაამტკიცოს პარლამენტმა.

ოპოზიციური „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ცვლილებებს მთავრობაში „ფასადურად“ მიიჩნევს. ამ პარტიის წარმომადგენელთა სიტყვებით, ეკონომიკური და სხვა პრობლემების გადასაჭრელად, რაც საქართველოს მთავრობის წინაშეა, საჭირო იყო სხვა მინისტრების შეცვლა.

„მთავრობა ძალიან ცდება, თუ მრავალმილიონიან პრობლემას ბიუჯეტში კულტურის მინისტრს აბრალებს“, – თქვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის მიცემულ კომენტარებში პარლამენტარმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“.

ამავე დროს, მიუხედავად იმისა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ – ექსპრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პარტიის – წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ არ დაუჭერენ მხარს ახალ მინისტრებს, დეპუტატების ოდენობა მმართველი პარტიიდან საკმარისია მათი დამტკიცებისთვის.

„არასაკმარისი ზომა“

საარჩევნო და პოლიტიკური ტექნოლოგიების კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი კახა კახიშვილი მიიჩნევს, **რომ პრემიერის გადაწყვეტილება – შეცვალოს შვიდი მინისტრი – გამოწვეულია უკმაყოფილებით, რასაც იწვევს მოსახლეობაში მმართველი კოალიციის საქმიანობა.** ექსპერტის სიტყვებით, ყველაზე მკაფიოდ ეს გამოიხატა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში არჩევნების დროს. კენჭისყრის შედეგების მიხედვით, რომელიც 15 ივნისს გაიმართა, მმართველმა „ქართულმა ოცნებამ“ ვერ შეძლო, მოეპოვებინა უსიტყვო გამარჯვება რვა ქალაქში, რის შედეგადაც გაჩნდა მეორე ტურის აუცილებლობა, რომელიც 12 ივლისს გაიმართა.

პრეზიდენტის 2013 წლის ნოემბრის არჩევნებთან შედარებით ადგილობრივ არჩევნებში მმართველმა კოალიციამ 300 ათას ხმაზე ნაკლები მიიღო. საქმე ისაა, რომ მინისტრები აწარმოებდნენ მხოლოდ რუტინულ მუშაობას და თავს არიდებდნენ პასუხისმგებლობას, არ ახორციელებდნენ აუცილებელ რეორმებს. არ არის გასაკვირი, რომ ხალხი გაწბილებულია“, – თქვა კახიშვილმა ამერიკის ხმის რუსეთის სამსახურთან ინტერვიუში.

ექსპერტმა აღნიშნა სხვა ვითარებაც: უპორტფელოდ დარჩა ხუთი მინისტრი, რომლებიც არ ეკუთვნიან მმართველ პარტიას, ორი მინისტრი კი, რომლებიც „ქართული ოცნების“ შემადგენლობაში შედიან, გადაყვანილია ახალი მინისტრების ხელმძღვანელების პოსტებზე. კახიშვილის აზრით, პრემიერის ეს გადაწყვეტილება სასურველ შედეგებს არ მოიტანს, ვინაიდან მთავრობის შემადგენლობა უნდა განახლდეს თითქმის მთლიანად.

ანალიტიკოსის აზრით, ერთი წლისა და რვა თვის განმავლობაში ხელისუფლების სათავეში ყოფნის დროს „ქართულმა ოცნებამ“ ვერ შეძლო, განეხორციელებინა „კონცეპტუალური რეფორმები“, ეს კი, ხაზგასმით აღნიშნავს პოლიტოლოგი, ადასტურებს, რომ მოქმედი მინისტრების მუშაობის სტილი არაეფექტიანია და არ შეუძლია, უზრუნველყოს მმართველი კოალიციის მიერ მიცემული დაპირებების შესრულება.

„მთავრობის განახლებით „ქართულმა ოცნებამ“ უჩვენა საზოგადოებრიობას, რომ მზადაა ცვლილებებისათვის, მაგრამ ამავე დროს ვერ შეძლო ცვლილებები განეხორციელებინა პარტიის წევრ მინისტრებზე. ეს ნიშნავს, რომ რამდენიმე თვის შემდეგ, როდესაც მოსახლეობის მოლოდინი არ გამართლდება, დღის წესრიგში დადგება მთავრობის უდიდესი ნაწილის შეცვლის საკითხი“, – მიაჩნია კახიშვილს.

„ცოცხალი ტრადიციები“

ამერიკის ხმისთვის მიცემულ კომენტარებში ექსპერტმა ზაალ ანჯაფარიძემ აღნიშნა, რომ კაბინეტის განახლების ფონზე საკვანძო მინისტრებმა შეინარჩუნეს თავიანთი პოსტები, მიუხედავად „ცოდვებისა მუშაობაში“.

„პრობლემები ბევრ სამინისტროშია, მაგრამ მათზე ხელის შეხება ვერ გაბედეს, ვინაიდან მათ უკან იყო პარტიული კუთვნილება. ეს საკადრო კარუსელი შეიძლება განვიხილოთ, როგორც პოლიტპიარის ელემენტი, რათა უჩვენონ საზოგადოებას, რომ მთავრობა რეაგირებას ახდენს მოსახლეობისა და სამოქალაქო სექტორის აზრზე“, – ასე დაახასიათა სიტუაცია ზაალ ანჯაფარიძემ.

ანჯაფარიძეს ეჭვი ეპარება იმაშიც, რომ ორი მინისტრი, რომლებიც გადასხდნენ ახალ სავარძლებში, შეძლებენ „ეფექტიანად იმუშაონ“ ახალ თანამდებობებზე. მისი სიტყვებით, მათ „უბრალოდ შეუცვალეს კაბინეტები“. ექსპერტი ასკვნის: სააკაშვილის მთავრობასთან შედარებით ამჟამინდელ კაბინეტში მინისტრებს აქვთ „ოდნავ მეტი მოქმედებათა თავისუფლება“, მაგრამ არა იმდენად, რომ ისინი მივიჩნიოთ შეუცვლელ პოლიტიკურ ფიგურებად. ეს, ანჯაფარიძის აზრით, არის დაბრკოლება მმართველი კოალიციის წინასაარჩევნო დაპირებათა განხორციელების გზაზე.

„გარკვეული თვალსაზრისით, წინა ტრადიციები ცოცხალია“, – ასკვნის ექსპერტი.

Voice of America

დედამიწის ზურგზე

პოროშენკომ ხელი მოაწერა უმაღლესი რადის მიერ დამტკიცებულ კანონს კერძო მობილიზაციის შესახებ

დოკუმენტის ოფიციალურ პრესაში გამოქვეყნების შემდეგ დაიწყება კერძო მობილიზაცია 45 დღის განმავლობაში უკრაინის ყველა რეგიონის ტერიტორიაზე. უკრაინის ეროვნული უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელის ანდრეი პარუბის სიტყვებით, ახალმა კანონმა უნდა უზრუნველყოს სამხედრო ნაწილების გაძლიერება და როტაცია ანტიტერორისტული ოპერაციის პარალელურად ქვეყნის აღმოსავლეთში. უწინარეს ყოვლისა, გაიწვევენ მამაკაცებს მსახურების გამოცდილებით.

ლონდონი მოითხოვს რუსეთზე შეიარაღების მიწოდების ემბარგოს, თუმცა, შარშან გაზარდა რუსეთში შაშხანებისა და საბრძოლო ნაწილების ექსპორტი

პრემიერ-მინისტრი დავიდ კემერონი, რომელიც მრავალგზის აკრიტიკებდა რუსეთისთვის ფრანგული შვეულმზიდების მიწოდების შესაძლებლობას, როგორც აღმოჩნდა, აფიშირებას არ უკეთებდა ინფორმაციას იმის შესახებ, რომ თავად დიდმა ბრიტანეთმა უკანასკნელი წლის განმავლობაში გაზარდა რუსეთში იარაღის მიწოდება. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ინფორმაციით, მოსკოვი ლონდონისგან ყიდულობს იარაღს წელიწადში 200 მილიონ დოლარზე მეტი თანხით.

ჩინეთის ქალაქი იუიმენი მთლიანად დახურეს შავი ჭირის კარანტინის გამო

ჩინეთის ჩრდილო-დასავლეთის პროვინციის მცხოვრებს შავი ჭირი შეეყარა, როდესაც დაიჭირა ვირზაზუნა და დაჭრა იგი თავისი ძაღლისთვის. ქალაქ იუიმენის მცხოვრებლები რჩებიან მედიკოსების მეთვალყურეობის ქვეშ. ჩინეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ირწმუნებიან, რომ მათ აქვთ საკმარისი ბრინჯი და ფქვილი, ხოლო დაავადების გავრცელების რისკი მინიმალურია.

პერუს პრეზიდენტმა სამი წლის განმავლობაში მეხუთე პრემიერ-მინისტრი გაღაყენა

რენე კორნეხოს სახელი, რომელიც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე მიმდინარე წლის თებერვალში დაინიშნა, ნახსენებია ადგილობრივ პრესაში იმ სკანდალთან დაკავშირებით, რომელშიც გახვეული აღმოჩნდა მისი მრჩეველი. პრეზიდენტმა გადაწყვიტა, არ დაინდოს პრემიერი, იმედი აქვს, რომ ამით ის თავის დაცემულ რეიტინგს გაასწორებს.

როგორ ეზაღლეგოდა 2008 წლის აგვისტოს ომი

XX-20 საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს ქართული სახელმწიფოს ინტერესები, ისევე, როგორც 1917 წელს, ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისთვის სუვერენიტეტის რაღაც ნაწილზე დროებით უარის თქმას მოითხოვდა. 1988 წელს მაშინ უკვე მხცოვან პოეტს – კალოუ ნადირაძეს ჟურნალისტმა ასეთი შეკითხვა დაუსვა: როგორ უნდა მოვიქცეთ ქართველები შექმნილ ვითარებაში? პოეტის პასუხი განსაცვიფრებელი იყო: **არ დამიჯერებთ, მაგრამ მაინც გეტყვით: იმპერია ინგრევა. ახლა ჩვენ უნდა დავწვეთ და გავინაბოთ. იმპერიის დანგრევის შემდეგ კი წამოვდგეთ, მტვერი ჩამოვიბერტყოთ და ჩვენი საქმის კეთებას შევუდგეთო.**

აი, ის ფორმულა, რომელიც მაშინ რუსეთთან კონფრონტაციას აგვაცილებდა. სამწუხაროდ, ქართულ ეროვნულ მოძრაობაში, ერთი მხრივ, დაბალი პოლიტიკური ინტელექტის, მეორე მხრივ კი, ზღვარსგადასული ამბიციების გამო, ამისთვის მზაობა არ არსებობდა.

მოსალოდნელ რეალურ საფრთხეთა გაუთვალისწინებლობას, წინდაუხედავ ბაქიბუქს ლოგიკური შედეგი მოჰყვა: საქართველო რუსეთის მიერ თავსმოხვეულ შიგა კონფლიქტებში ჩაიძირა. რუსეთმა აქტიური მონაწილეობა მიიღო გამსახურდიას ხელისუფლების დამხობაში, შემდეგ კი ყველაფერი იღონა თავის მიერვე პროვოცირებულ ქართულ-აფხაზურ დაპირისპირებაში საქართველოს დასამარცხებლად.

1994 წელს ხელი მოეწერა რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებას, რომლის რატიფიცირება საქართველოს პარლამენტმა მალევე მოახდინა. რუსეთმა რატიფიკაციისგან თავი შეიკავა. ეს ფაქტი ნათლად მოწმობდა: დსთ-ში საქართველოს შესვლის (თუ შეთრევის) შემდეგაც კი რუსეთი აღარ ენდობოდა ჩვენს ქვეყანას და უკვე საბოლოოდ ჰქონდა გადაწყვეტილი მისი დანაწევრება. სწორედ ამიტომ არ სურდა მას საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების დამადასტურებელი ხელშეკრულების რატიფიკაციით თავის შეზღუდვა.

1997 წელს რუსეთის მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი პრიმაკოვმა ე. წ. „ქართულ-აფხაზური საერთო სახელმწიფოს“ იდეა წამოაყენა. ამ გაერთიანების ორივე სუბიექტს რჩებოდა საერთო სახელმწიფოდან გასვლის უფლება. ეს იყო არცთუ ნიჭიერად დაგებული ხაფანგი ქართული სახელმწიფოს დასაშლელად.

1998 წლის მაისში (19-26) ქართულმა მხარემ სცადა პარტიზანული ძალებით გალის გათავისუფლება. მოგვიანებით ქართველი პარტიზანები და სამხედროები საუბრობდნენ ფარულ გარიგებაზე რუსეთის არმიის ოფიცრებთან, რომლებიც, თითქოს, დიდი ფულის სანაცვლოდ არ უნდა ჩარეულიყვნენ კონფლიქტში. ამ წამოწყებას თავიდანვე ავანტიურის სუნი ასდიოდა და ის ასევე დამთავრდა კიდეც. საქართველოს რეგულარული ჯარი პარტიზანებს ვერ დაეხმარა. გალი კიდევ ერთხელ დაიკარგა. აფხაზებმა გადაწვეს ორიათასამდე სახლი, ბრძოლაში დაიღუპა 190 პარტიზანი და მშვიდობიანი მცხოვრები, გალიდან დევნილთა რაოდენობამ 50 ათასი კაცი შეადგინა.

იმავე წელს საქართველოს პარლამენტის წევრთა ერთი ჯგუფი მოსკოვს ეწვია. თავის რუს კოლეგებს მათ საკითხი შემდეგნაირად დაუსვეს: ქართულ მხარეს რუსეთისგან სურს ორი რამ: რუსეთმა ხელი არ შეგვიშალოს ჩვენი შიგა კონფლიქტების დარეგულირებაში და რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ საბჭოთა კავშირის შეიარაღებიდან გადმოგვცეს ჩვენი წილი იარაღი. სანაცვლოდ ქართული მხარე მზადაა, შეასრულოს რუსული მხარის ყველა მოთხოვნა, გარდა ისეთი მოთხოვნებისა, რომლებიც საფრთხეს შეუქმნის ჩვენს სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას. გიორგი ბარამიძე, რომელიც ამ ამბავს ღია ეთერში ყვებოდა, გაოცებას ვერ მალავდა იმის გამო, რომ ქართულმა დელეგაციამ რუსი კოლეგებისგან კონკრეტული პასუხი ვერ მიიღო.

საქართველოსადმი რუსეთის დამოკიდებულებამ განსაკუთრებული აგრესიული ხასიათი შეიძინა 1999 წლიდან, როდესაც, ერთი მხრივ, რუსეთის ხელმძღვანელობაში მომხდარი ცვლილებების შედეგად განმტკიცდა სახელისუფლებო ვერტიკალი, მეორე მხრივ კი, საქართველოს სოციალ-ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარმა სასიკეთო ძვრებმა ქართულ სახელმწიფოს საშუალება მისცა, ნათლად გამოეკვეთა ევროატლანტიკური კურსი. საქართველოს ტერიტორიების მცოცავი ანექსიის რუსული პოლიტიკა ახალ ფაზაში შევიდა.

იმავე წელს რუსეთმა საქართველოს თავის ტერიტორიაზე ჩეჩნეთის მიმართულებით ჯარის გატარება მოსთხოვა. საქართველოს უარის შემდეგ კი რამდენჯერმე დაბომბა პანკისის ხეობა.

2000 წელს რუსეთმა სავიზო რეჟიმი დაუდგინა საქართველოს, თუმცა, აფხაზეთისა და ცხინვალის მიმართ გამარტივებული წესი შემოიღო.

2001-2002 წლებში გაეროს და ეუთოს ეგიდით აქტიურად მიმდინარეობდა ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების მოგვარების გზების ძიება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ფარგლებში (ბოდენის გეგმა), თუმცა, სეპარატისტები და რუსეთი სისტემატურად ბლოკავდნენ ამ ინიციატივებს.

2002 წელს რუსეთმა დაიწყო თავისი პასპორტების დარიგება საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებში.

2004 წლის 7 ივლისს ოსმა სეპარატისტებმა დაატყვევეს, განაიარაღეს და დაამცირეს სოფელ ვანათში შესული ქართველი პოლიციელები. ისინი აიძულეს, დაეჩოქათ. ეს მძიმე კადრები ბევრჯერ გადაიცა ტელევიზიით.

ორი დღის შემდეგ (9 ივლისს) ირანიდან დაბრუნებული სააკაშვილი თათბირზე კატეგორიულად მოითხოვდა საქართველოს მთელი შეიარაღებული ძალების დაძვრას ცხინვალზე. თათბირის მონაწილეებმა მაშინ მოახერხეს პრეზიდენტის დარწმუნება, რომ ეს ნაბიჯი საბედისწერო იქნებოდა ქვეყნისთვისაც და მისი პრეზიდენტობისთვისაც.

2006 წელს რუსეთმა აკრძალა ქართული პროდუქციის რუსულ ბაზარზე შეტანა. დაწესდა სატრანსპორტო ბლოკადაც. ამავე პერიოდიდან დაიწყო რუსეთის სპეცსამსახურების გააქტიურება საქართველოს ტერიტორიაზე. სექტემბერ-ოქტომბერში ამას საქართველომ რუსეთის ჯაშუშების დაკავებით და ექსტრადიციით უპასუხა. საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ ეს მისთვის ჩვეული არადიპლომატიურობით და დემონსტარაციულობით გააკეთა. პუტინმა ეს რუსეთიდან ქართველი მოქალაქეების დეპორტაციის საბაბად გამოიყენა.

იმავე წელს პუტინმა სააკაშვილს პირდაპირ უთხრა, რომ საქართველოში ის „ჩრდილოეთ კვიპროსს“ შექმნიდა. ცოტა მოგვიანებით მან იგივე გაიმეორა გაეროს გენერალურ მდივანთან საუბრის დროსაც.

ამავე პერიოდიდან იმატა სეპარატისტული რეჟიმების აგრესიულობამ და რუსული სამხედრო შენაერთების აქტივობამ ჩვენს საზღვრებთან. რუსულმა თვითმფრინავებმა დაბომბეს კოდორის ხეობა, რამდენიმე რაკეტა ჩამოაგდეს სოფელ წითელუბანშიც.

სულ უფრო და უფრო აშკარად იკვეთებოდა, რომ რუსეთი კონფლიქტების დამრეგულირებელი კი არა – კონფლიქტების მხარეა.

2008 წლის 17 თებერვალს ევროპის წამყვანმა სახელმწიფოებმა და აშშ-მა კოსოვოს დამოუკიდებლობა სცნეს. ამით მათ სერიოზული დარტყმის ქვეშ დააყენეს საქართველო. არავისთვის საიდუმლო არ იყო, რომ რუსეთი ამ ფაქტს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფისთვის გამოიყენებდა. ჯერ კიდევ 2006 წლის 4 ოქტომბერს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ყოფილი გენერალური მდივანი ჰავიერ სოლანა ევროპარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის სხდომაზე აღნიშნავდა, რომ კოსოვომ, შესაძლოა, პრეცედენტი შექმნას და უარყოფითი შედეგები მოუტანოს საქართველოს. **„ჩვენ ხაფანგში ვექცევით... პრეზიდენტი სააკაშვილი ხაფანგშია მოქცეული. ყველა ჩვენგანი ორმაგი მექანიზმის მსხვერპლი ვხდებით, რომელმაც, შესაძლოა, კარგი შედეგები მოუტანოს ერთს, მაგრამ არა – მეორეს. ეს ვერ იქნება სიტუაცია, სადაც ორივე მხარე იმარჯვებს – თუმცა, ჩვენ უნდა შევძლოთ, მოვძებნოთ და ვიპოვოთ ისეთი სიტუაცია, სადაც ორივე მხარე გაიმარჯვებს, მაგრამ ეს ადვილი არ იქნება.“**

დასავლეთის მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებიდან ხუთი დღის შემდეგ პუტინი და სააკაშვილი ერთმანეთს დსთ-ს სამიტზე შეხვდნენ. **პუტინმა სააკაშვილს უთხრა: არ მესმის, რატომ წამოიწყო ამერიკამ ევროპის ისლამიზაციის კამპანია. მას შემდეგ, რაც, ალბანელებმა თავისას მიაღწიეს, მეტსაც მოინდომებენ და ახლა მაკედიონიასაც მისდგებიან. ხომ გესმით, რომ კოსოვოს შემდეგ დასავლეთს უპასუხოდ ვერ დავტოვებთ, მართალია, ვწუხვარ, მაგრამ თქვენც ამ პასუხის ნაწილად მოიაზრებითო.**

სააკაშვილმა უპასუხა, რომ არ ესმოდა, რა კავშირი ჰქონდა საქართველოში არსებულ ვითარებას კოსოვოსთან. მან ისიც თქვა, რომ თუ ჩრდილო კავკასიელები დღეს მხარს აფხაზებს და ოსებს უჭერენ, ეს იმიტომ, რომ თვითონაც დამოუკიდებლობა სურთ, ოღონდ რუსეთისგანო. პუტინმა მშვიდად მოუსმინა სააკაშვილს, შემდეგ კი ასეთივე სიმშვიდით უპასუხა, რომ ჩრდილო კავკასიელების პრობლემა არ აღელვებდა. მაგათ როგორმე მოვუვლითო – თქვა და ცერა თითის ყელში გამოსმით მიანიშნა, თუ როგორ გადაწყვეტდა ამ პრობლემას.

სააკაშვილმა პუტინის დაყოლიება სცადა: საქართველო თქვენთვის საუკეთესო მეზობლად შეიძლება იქცეს. დავსხდეთ და ერთად ვიფიქროთ ერთმანეთის სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემაზე, სასიცოცხლო სტრატეგიული ინტერესების გათვალისწინებაზე, იმ საკითხთა ჩათვლით, რაც თქვენ ასე გაშფოთებთო, – უთხრა.

ეს იყო აშკარა მინიშნება, რომ ყველაფერზე შეიძლებოდა მორიგება, მათ შორის, თბილისის ნატოსკენ სწრაფვაზეც, თუკი მოსკოვი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მოგვარების ნებას გამოიჩენდა. პუტინმა შემოთავაზებისგან თავი შორს დაიჭირა და არც სააკაშვილის მინიშნებაზე მოუხდენია რეაგირება. „მე აქ რაღაც დათმობების სანაცვლოდ მიწებს ვერ ჩამოვარიგებ...“, – იყო მისი პასუხი. პუტინმა საკმაოდ არაორაზროვნად განუცხადა ქართულ დელეგაციას (შეხვედრას მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ბაქრაძე და მისი მოადგილე გრიგოლ ვაშაძეც ესწრებოდნენ), რომ შესაძლებელია საქართველოსთან ფრენების განახლება, დაფიქრდებიან იმაზეც, რომ რუსულ ბაზარზე კვლავ დაბრუნდეს ქართული ღვინო, მაგრამ, რაც შეეხება სადავო ტერიტორიებს - სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს, ჩვენ მათთან დაკავშირებით პასუხს გაგცემთ არა თქვენ, არამედ დასავლეთს, შეერთებულ შტატებსა და ნატოს კოსოვოს ჭრილში. თქვენ არ უნდა ინერვიულოთ. ეს თქვენ არ უნდა გაშფოთებდეთ. ის, რის გაკეთებასაც ჩვენ ვაპირებთ, არ იქნება თქვენს წინააღმდეგ მომართული. ეს იქნება ჩვენი რეაქცია დასავლეთის მოქმედებაზეო.

ამ თემას რომ ეხება, რონალდ ასმუსი აღნიშნავს, რომ სააკაშვილის პირით პუტინმა საჯაროდ შეუთვალა დასავლეთს – კოსოვოს აღიარება ბუმერანგივით შემოგიტრიალდებათო.

სანტ-პეტერბურგიდან თბილისისკენ მომავალმა სააკაშვილმა დავით ბაქრაძეს შთაბეჭდილების შესახებ ჰკითხა. ომის სუნი მცემსო, – მიუგო ბაქრაძემ.

ცხადზე ცხადი იყო, რომ რუსეთი კოსოვოს მოვლენებზე დასავლეთისთვის პასუხის გაცემას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების აღიარებით აპირებდა. სააკაშვილი კარგად აცნობიერებდა ამ საფრთხეს და ამის შესახებ არაერთხელ აფრთხილებდა კიდეც დასავლეთის პოლიტიკურ მოღვაწეებს, თუმცა, მას პასუხად მუდმივად არწმუნებდნენ – მოსკოვი მხოლოდ იმუქრება და კოსოვოს პრეცედენტი საქართველოსთვის არანაირ ნეგატიურ შედეგს არ გამოიღებსო. მოვლენების განვითარებამ ცხადყო, რომ ევროპელი და ამერიკელი პოლიტიკოსების გათვლები მცდარი იყო. **რუსეთის ხელმძღვანელობას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, რეაგირების გარეშე არ დაეტოვებინა დასავლეთის ეს ნაბიჯი. აშშ-სა და ევროპისთვის სამაგიეროს გადახდა კი, კრემლის აზრით, საქართველოს დასჯით ყველაზე უკეთ შეიძლებოდა. პოლიტიკური გადაწყვეტილება მიღებული იყო, რჩებოდა მხოლოდ მისი ტექნიკური განხორციელება.** ამ საქმეში კი რუსეთის სახელმწიფოს უზარმაზარი გამოცდილება გააჩნდა. 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის შემდეგ რუსეთმა ყველაფერი იღონა საქართველოს საბოლოოდ დასუსტებისთვის, მოთმინებით დაელოდა ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გარდაცვალებას, შემდეგ ქართლის დიდებულებს, ზოგს მუქარით, ზოგს დაყვავებით და შეპირებებით რუსეთის ქვეშევრდომობაზე მოაწერინა ხელი, ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის შემადგენლობაში შესვლის მანიფესტში კი ჩაწერა, რომ ამ ნაბიჯს პატარა ერთმორწმუნე ხალხის სიბრალულით, მის გადასარჩენად დგამდა. საქართველოს ხელმეორე ოკუპაციაც „აჯანყებული ქართველი ხალხის“ დახმარების სახელით მოხდა. ცხადია, რუსეთი ახლაც შეეცდებოდა „ქართველი შოვინისტებისგან“ დაჩაგრული მცირერიცხოვანი აფხაზი და ოსი ხალხების მფარველის მანტია მოერგო. თუმცა, ამჯერად ეს საკმარისი არ იქნებოდა. საჭირო იყო საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში საქართველოს პირსისხლიან აგრესორად, ომის გამჩაღებლად წარმოჩენა, რის შემდეგაც რუსეთის, როგორც მშვიდობისმყოფლის დრო დადგებოდა. პირველი ამოცანა - აფხაზი და ოსი ხალხების მხარდაჭერა – რუსეთს გარანტირებული ჰქონდა. შედარებით რთული იყო მეორე ამოცანა - საქართველოს აგრესორად წარმოჩენა. თუმცა, რუსეთისთვის არც ამ ამოცანის გადაწყვეტა წარმოადგენდა პრობლემას. **1992 წელს რუსეთმა მოახერხა და გაცილებით გამოცდილი, გაწონასწორებული და წინდახედული პოლიტიკოსი – შევარდნაძე აცდუნა – აიძულა ის, ჯარი შეეყვანა აფხაზეთში, მით უმეტეს არ გაუჭირდებოდა მას გაუწონასწორებელი, წინდაუხედავი და არცთუ ისე შორსმჭვრეტელი სააკაშვილის გაბრიყვება.**

უჩა გლუაშვილი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 143

(გაგრძელება იძნება)

◎ ცურვა

უხვი ნადავლით

სლოვენიაში დამთავრდა ახალგაზრდა მოცურავეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 15 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. საქართველოს 11-კაციანმა დელეგაციამ 13 მედალი მოიხვეჭა. განსაკუთრებით რუსთაველმა აკაკი ვაშაკიძემ იყოჩაღა — 50 მეტრზე გულაღმა ცურვაში, 100 და 200 მეტრზე ბატერფლაით პირველი ადგილები დაიკავა. საგულისხმოა, რომ 16 აგვისტოდან ვაშაკიძე ჩინურ ნანძინში მსოფლიო ახალგაზრდობის ოლიმპიურ თამაშებში იასპარეზებს.

სლოვენიაში რუსთაველმა რუსუდან გოგინაშვილმა 100 და 200 მეტრზე ბრასით მოიპოვა ოქროს მედლები. საჩხერელი ლევან ბახტურიძე 50 და 100 მეტრზე ბრასით პირველი იყო, 200 მეტრზე კი მესამე ადგილი დაიკავა. მეორე ადგილებზე გავიდნენ თბილისელები მერი მუმლაძე (100 მ თავისუფალი ყაიდა), გიორგი ხმელიძე (1500 მ თავისუფალი ყაიდა) და სანდრო ლომიძე (50 და 100 მ თავისუფალი ყაიდა), ხოლო საჩხერელი ქეთევან გაგნიძე 100 მეტრზე ბრასით ბრინჯაოს დასჯერდა.

გივი გაგუა

სურათზე: ახალგაზრდა ქართველი მოცურავეები სლოვენიაში.

◎ მხარე

რეპეტიცია საქართველომდე

მომავალ შაბათ-კვირას ბაზალეთის ტბაზე ბაიდარასა და კანოეში საქართველოს ღია ჩემპიონატი გაიმართება. შეჯიბრებაში თბილისის, მცხეთის, რუსთავის, ქუთაისის, ფოთის, დუშეთისა და სომხეთის წარმომადგენლები იასპარეზებენ. ამ პირველობისთვის მზადებას მიეძღვნა მცხეთა-მთიანეთის რეგიონული პირველობა, რომელშიც მცხეთელმა და დუშელმა სპორტსმენებმა მოსინჯეს ძალები ორ ასაკში. 18-წლამდელებში ერთადგილიანი ბაიდარათი მცხეთელმა გიორგი მარტოლეკმა გაიმარჯვა. ლევან სოსელიასთან ერთად მან ორადგილიანი ნავით პაექრობაც მოიგო. გოგონებში უძლიერესი იყო დუშელი დიანა ყარსიმაშვილი. თანაგუნდელ მარიამ ყუფარაძესთან ერთად მან ორადგილიანი ბაიდარათიც აჯობა ყველას.

უმცროსი ასაკის (15-წლამდელები) კანოისტთა ორთაბრძოლაში წარმატებას მიაღწია ნიკოლოზ ხატიაშვილმა (მცხეთა), ერთადგილიანი ბაიდარათი ფინიშთან პირველი იყო ვალერი კიკნაძე (მცხეთა), ხოლო ორადგილიანი ნავით ემზარ ირემაშვილმა და ვაკო ლაზვიაშვილმა (ორივე-დუშეთი) იმარჯვეს.

ლაშა დიდია

სურათზე: ლევან სოსელია (წინ) და გიორგი მარტოლეკი დისტანციაზე.

ვაჟა დანელიას ფოტო.

◎ უმაღლესი სკოლა

ბურთს ექიმიც ემონება

ბრაზილიურ მუნდიალს საინტერესო ღონისძიება მიუძღვნეს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის დაწესებულებათა თანამშრომლებმა — სახელოვანი ქართველი ფეხბურთელების თენგიზ სულაქველიძისა და ვახტანგ კოპალეიშვილის სახელობის თასის მოსაპოვებლად ექიმთა 10 გუნდი იბრძოდა.

გაუწყებთ ერთთვიანი ასპარეზობის დასკვნითი მატჩების შედეგებს.

ნახევარფინალი. იაშვილის სახელობის ბავშვთა საავადმყოფოს პირველი გუნდი — „პსპ ნიუ ჰოსპიტალსი“ 5:3, პირველი საავადმყოფო — იაშვილის სახელობის ბავშვთა საავადმყოფოს მეორე გუნდი „ავანტე“ 5:2.

შეხვედრა III ადგილისთვის. „ავანტე“ — „პსპ ნიუ ჰოსპიტალსი“ 3:0.

ფინალი. იაშვილის I გუნდი — I საავადმყოფო 1:1 (დამატებით დროში 5:1). აღსანიშნავია, რომ ამ გუნდების ჯგუფური რაუნდის თამაში ამ უკანასკნელმა 12:3 მოიგო, მაგრამ სატიტულო დუელში მეტოქემ ღირსეული რევანში აიღო.

ტრადიციისამებრ, ინდივიდუალური პრიზებით დაჯილდოვდნენ ტურნირის გამორჩეული მონაწილენი: **მეკარე** — რევაზ მანჯგალაძე, **მცველი** — ლევან ჩოჩია, **საუკეთესო ფეხბურთელი** — ზურაბ ძაგანია (სამივე — იაშვილის I გუნდი), **ყველაზე ტექნიკური მოთამაშე** — დავით კაკაბაძე, **ბომბარდირი** —ზაზა თელია 14 გოლი (ორივე — I საავადმყოფო). სპეციალური თასი გადაეცა ჩემპიონი ორგანიზაციის თავკაცს შოთა ჯოგლიძეს, რომელიც ძირითადი შემადგენლობის წამყვან წევრად მოგვევლინა. მასვე თენგიზ სულაქველიძემ სულგრძელად დაუთმო თავისივე სახელობის აკადემიის სარბიელი სასურველ დღეებსა და დროს პარტნიორთათვის სავარჯიშოდ.

დავძენთ, რომ ტურნირის ორგანიზატორმა და მთავარმა მსაჯმა, საქართველოს სპორტის დამსახურებულმა მოღვაწემ ვახტანგ ბაქანიძემ ყველაფერი იღონა საიმისოდ, რომ დიპლომიან ექიმებს საკუთარი საფეხბურთო შესაძლებლობები წარმოეჩინათ. უნდა ითქვას, რომ წარმატებითაც.

კობა კობახიძე

მინაწერი: გუშინ თენგიზ სულაქველიძის დაბადების დღე იყო. ვუღოცავთ!

კ. კ.

◎ კონტრაქტი

ხამეს როდრიგესი „რეალის“ წევრია



კოლუმბიელმა ხამეს როდრიგესმა მადრიდის „რეალთან“ ექვსწლიანი კონტრაქტი გააფორმა და ესპანეთის დედაქალაქის ერთ-ერთ კლინიკაში სამედიცინო შემოწმებაც წარმატებით გაიარა. ტესტირებისას როდრიგესს ჯანმრთელობის პრობლემა ვერ აღმოუჩინეს, კონტრაქტის პირობები კი საჯაროდ არ ცხადდება.

სხვადასხვა წყაროები იუწყებიან, რომ 23 წლის როდრიგესი წლიურად 7 მილიონ ევროს მიიღებს. შეგახსენებთ, წლევანდელი მუნდიალის საუკეთესო ბომბარდირი ხამეს როდრიგესი უწინ კოლუმბიის „ენვიგადოს“, არგენტინის „ბანფილდის“ და პორტუგალიის „პორტუს“ ღირსებას იცავდა, გასულ სეზონში კი „მონაკოს“ შემადგენლობაში 34 მატჩი ჩაატარა და 9 გოლი გაიტანა.

გიორგი ზოთაძე

◎ ელიტა

ტაიგერი ისევ უმდიდრესია

ტაიგერ ვუდსი მსოფლიოში კვლავ ყველაზე მდიდარი სპორტსმენია. მისმა სპორტულმა შემოსავალმა თითქმის მილიარდს მიაღწია. 2009 წელს მისი ნადავლი 100 მილიონი იყო. ამავე წელს, ოჯახის შენარჩუნების მიზნით, გოლფიდან გაურკვეველი ვადით წასვლაზე განაცხადა, თუმცა შემდეგ დაუბრუნდა საქმიანობას.

ვუდსი გოლფის ყველაზე პრესტიჟული ტიტულების 14-გზის მფლობელია. პირველი ჩემპიონატი 5 წლის ასაკში მოიგო. მსოფლიოში ყველაზე მდიდარი სპორტსმენი კალიფორნიაში დაიბადა 1975 წელს. ის ერთადერთი შვილი იყო ოჯახში, თუმცა მშობლების გაყრის შემდეგ შეეძინა ორი ნახევარძმა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

ნეიმარი VS „პლეიბოი“

ჩვენს მკითხველს კარგად ემახსოვრება, როცა ვწერდით კატალონიურ კლუბ „ბარსელონასა“ და ბრაზილიის ნაკრების თავდამსხმელ ნეიმარის დაძაბულ ურთიერთობაზე „პლეიბოისთან“.

საქმე ისაა, რომ „პლეიბოის“ ივნისის ნომრის გარეკანზე მოდელ პატრისია ჯორდანის ფოტოა, რომელიც ირწმუნებოდა, რომ ნეიმართან მხურვალე ვნებები აკავშირებდა. ამაზე ნეიმარი აღშფოთდა, მოდელს ტყუილში დასდო ბრალი და „პლეიბოის“ გამოცემასაც უჩივლა.

სასამართლომ დააკმაყოფილა ფეხბურთელის სარჩელი და გამოცემას მოსთხოვა ივნისის თვის მთელი ნომერი გაყიდვიდან ამოიღონ. თუ ჟურნალის მფლობელები ამ რისკზე არ წავლენ, მაშინ 10 ათასი რეალის (4,5 ათასი დოლარი) გადახდა მოუწევთ ჯარიმის სახით.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ახლახან გამოვიდა

კალანდია – პოეზიის მართალი მოკალანდე!



ნუთუ ის დრო დააბრუნა **გენო კალანდიამ,** როდესაც პოეზიის თაყვანისმცემლები ჩვენი საყვარელი პოეტების ახალი ლექსების კრებულებს, თავიდან ბოლომდე სულმოუთქმელად ვკითხულობდით, მალ-მალე მივუბრუნდებოდით და ზოგი ლექსი თუ სტრიქონი გონებიდან აღარ ამოდიოდა. რა ვქნა, ასე გამოვიდა ჩვენი გამორჩეული, ერთთავად სიახლისმაძიებელი პოეტის გენო კალანდიას ახალგამოცემული ლექსების მომცრო კრებულის კითხვისას, რომელსაც **„საგალობლები უფლისთვის“** ჰქვია და მართლაც ლოცვასავით იკითხება. დამიჯერეთ, ჩავიკითხე ერთხელ, ორჯერ... ათჯერ... და ვერ მოვწყდი ვერაფრით, ისევ ვფურცლავ, სულერთია, რომელ გვერდზე, ეს ორსტროფიანი, ათმარცვლიანი საგალობლები პოეტისა, ერთი-მეორეზე უკეთესია. აქ ყოველი ლექსი მიმართვაა უფლისადმი.

უფალო, ყოვლის მხილველო ხმელთა,
მფარველო ქვეყნის იდუმალ ძალთა,
ყველგან, ო, ყველგან შენს ნათელს ვხედავ,
ანგელოზებით სავსე გაქვს კალთა.
ჩემი გზა, ჩემი ფიქრი და ყოფა,
არის მაშველის ნავი და აფრა,
მიიღე, ჩემი ლექსების კონა,
ვით საკალანდო სურო და დაფნა.

ახლა სჯობს კრებულის ბოლოსიტყვაობის ავტორს, ლიტერატურათმცოდნე **თეიმურ შავლაძეს** მოვუსმინოთ, რომელიც ვრცლად მიმოიხილავს გენო კალანდიას ახალ ლექსებს.

— ვინც მეტ-ნაკლებად იცნობს გენო კალანდიას ადრინდელ თუ გვიანდელ პოეტურ ნაღვაწს, დამეთანხმება, რომ, იგი კოლხ-იბერული ერთი მთლიანი ქართული პოეტური ფენომენი-მონოლითია, საერთო ქართული გაწყვეტელი ენობრივ-სააზროვნო სივრცის განფენილობა, სწორედ რომ საღრმოოდ გასაგონად და გასააზრებლად მოვლენილი...

...საინტერესოა, რატომ მაინცდამაინც ორსტროფოსანი და ათმარცვლოვანი ლექსური ფორმით გამოხატა სათქმელი ავტორმა? იქნებ, სწორედ ამგვარი ლექსემურ-ვერსიფიკაციული და ფერწერულ-მუსიკალური გამატონალობა შეესაბამება საგალობელთა შინაარსს, განწყობილებას, სივრცობრივობას, კითხულობ და რწმუნდები, რომ, აქ მართლაც ე. წ. „ოქროს შუალედია“ გამოძერწილი, არც მეტი და არც ნაკლები. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ სრულიად ზედმეტია და უხერხულიც კი გენო კალანდიას პოეტურ არსენალზე მსჯელობა-საუბარი... და არც ვაპირებთ. მაგრამ უთქმელობაც არ შეიძლება: ამ „საგალობელთა ციკლით“ იგი წარმოჩნდა (მართლაც) მაღალი ნიშნულის პოეტად, თუმცა, ეს პატივი არც ადრე აკლდა, მაგრამ, მაინც სულ სიმაღლით წარმოაჩინა... პოეზიის ღვთიური ხილის დაგემოვნება შეოგვთავაზა გენო კალანდიამ — პოეზიით მართალმა მოკალანდემ და აწი უკვე ჩვენი ნებაა, თუ როგორ მივეკალანდებით მისი ხელბედნიერი კალმის ნაამაგარს.

...მართლაც რომ იმსახურებს ამ შექებას გენოს ახალი ლექსების კრებული.

ვილენ მარდალეიშვილი

◎ ძველი ამბავი

იყალთოელი ბიჭები

იყო ერთი იყალთოელი პოეტი — არჩილ შიშმანაშვილი, აცხონოს ღმერთმა, მშობლიური სოფელივით კოპწია და თავანკარა პოეზია ჰქონდა.

ერთხელაც „ალაზნის განთიადში“ (მაშინ ამ გაზეთში ვმუშაობდი) ცხელ-ცხელი ლექსი მოარბენინა. ვიცოდი, ხინკალი უყვარდა და პოეტი იქვე ახლოს, რედაქციის მეზობლად მდებარე სასაუზმეში დავპატიჟე. შუა ხინკლაობაში რომ ვიყავით, მეუბნება.

— ჩვენებიანთ ლადოს ხომ იცნობ?

— რომელს, კაცო, ავწბეწვას? (ლადო მრელაშვილს მეტსახელად ავბეწვას ეძახდნენ).

— ჰო, მაგას, მწერალი რო არი.

— ისე რა, შორიდან...

პოეტს ულვაშებში ღიმილის ბზარმა გაურბინა.

— მე ახლოსა ვარ, — მეუბნება, — მაგრამ რად გინდა, ერთხელ ძლივს დამპატიჟა.

— რას ამბობ, კაცო, — გავიკვირვე, — სად მოხდა ეს ისტორიული ამბავი?

— დედაქალაქში. კახეთში სულ მე ვეპატიჟები და რა ექნა, მეტი ფული ვერ გაიმეტა და შენი არ იყოს, ხინკალზე გადამატარა.

— იიჰ, — სიტყვა ბანზე ავუგდე, — მწერალს ფული ვინ მისცა. მაგაზე არ უნდა დაემდურო.

— არც ვემდური, თვითონ დარჩა მშიერი, თორემა...

— როგორ, კაცო, ხინკალი არ უყვარს?

— უყვარს რომელია, მაგრამ ცხელს ვერ ჭამს.

— მერე, სად ეჩქარებოდა, ცოტა შეეცადნა მაგ კაიკაცს.

— ვინ აცალა, თორემა, კი.

— რა ვქნა, შენ რა რებუსებით მელაპარაკები?

— გეტყვი როგორც იყო.

— მიდი, გარეკე!

— რა, ხინკალი?

— ხინკალს მოეშვი კაცო, იქ რა მოხდა, ისა თქვი.

— არაფერიც არ მომხდარა, ლადომ ოცი ხინკალი მოიტანა და უკანვე გაბრუნდა.

— სადღა მიდიხარ, — ვუთხარი, — მოდი დავუძაგუნოთ!

— ვიდრე ხინკალი შეცივდება, ბარემ ლუდსაც მოვიტან.

— მერე, არ მოიტანა?

— როგორ არა, მაგრამ ხინკალი უკვე აღარ დახვდა.

— კაი მუცელა ყოფილხარ, მაგდენი რამ შეგაჭამა?

— ცივდებოდა და რა მექნა? თანაც ქალაქური ხინკალი, ხომ იცი, ყლუპია და ყლაპი აღარ.

— ლადომ მერე ღვეზელი მიირთვა?

— არა, მეორედ ჩადგა ხინკლის რიგში და ოცი კიდევ მოიტანა.

— თვითონაც მაგარი მჭამელი ყოფილა.

— მჭამელი კი არა, მბერავი.

— როგორ თუ მბერავი?

— შეუბერავად ვერ ჭამს, პირი ეწვება.

— ებერნა მერე, შენ რა გენაღვლება?

— დიდხანს უნდება, თანაც შებერვის დროს ულვაშსაც იშვლიებს.

— მაგით რისი თქმა გინდა, ხინკალი არ უჭამია?

— როგორ არა, მაგრამ ვიდრე ამ ბერვა-ბერვაში იყო, მე უკვე 15 მოვაყუჩე...

ეს ამბავი ლადო მრელაშვილს ერთხელ „საქართველოს რესპუბლიკაში“ რო გვეწვია, შევახსენე. მართალიაო, მითხრა, ყველაფერი ზუსტად ასე მოხდაო. იმ ყურუმსაღმა, ცალკე ხარჯში ჩამაგდო და ცალკე კიდევ მშიერი დამტოვაო.

— ამდგარიყავი და შენც მესამეჯერ მიგეტანა ი ხინკალი — შევაპარე.

— ჰო მაგრამ, რა გარანტია მქონდა, რომ ისიც ცხელი არ გამოდგებოდა? თქვა და ხინკალნერწყვმოგვრილმა მადიანად გადაიხარხარა.

ოთარ ხუციშვილი

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
299-62-77; 568 82-09-84..

განცხადება

საქართველო წყალსათხილამურო სპორტის ეროვნული ფედერაცია განმეორებით აცხადებს, რომ 2014 წლის 2 აგვისტოს, 14 საათზე, ქ. ფოთში, მალთაყვის სპორტულ კომპლექსში ტარდება ფედერაციის ყრილობა.

ფედერაციის წევრთა დასწრება აუცილებელია.

დღის წესრიგი:

1. ფედერაციის პრეზიდენტის მოხსენება საქართველოში ამ სახეობის სპორტში, გაწეული მუშაობის შესახებ.
2. გამგეობის წევრების არჩევა.
3. გამგეობის წევრებიდან ფედერაციის პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტისა და გენერალური მდივნის არჩევა.

განცხადება

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ 2014 წლის 17 ივლისს (№139) გამოქვეყნებულ განცხადებაში აჭარაში მყარი ნარჩენების პოლიგონის მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ შედის შემდეგი ცვლილება:

განმცხადებელი, ნაცვლად აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსი, არის აჭარის ა.რ. 100 %-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „ჰიგიენა 2009“.

განცხადებაში მითითებული საჯარო განხილვა ნაცვლად ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ცეცხლაურის კულტურის სახლის შენობისა, ჩატარდება ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მათემატიკოსი, აკადემიკოსი

ნიკოლოზ ვახანია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა განყოფილების წევრი, გამოჩენილი ქართველი მათემატიკოსი, აკადემიკოსი

ნიკოლოზ ვახანია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის 826 ჯგუფის კურსდამთავრებულები მწუხარებით თანაუგრძნობენ მეგობარს ომარ ქინქლაძეს და მისი ოჯახის წევრებს დედის

ნორა ქანთარია-ქინქლაძის

გარდაცვალების გამო.

მერაბ, თათია მეტრეველები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ლაშა მეტრეველის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახს.

მეუღლე ზურაბ, შვილი ნინო ფორაქიშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვიქტორია სტეფანეს ასული ფორაქიშვილი

პანაშვიდი 24, 25 VII, გამოსვენება 26 VII, 13 სთ. მისამართი: კეკელიძის №14, II სადარბაზო, VI სართული.

◎ ალიანჩალიანი

ავტოავარია მსხვერპლით დასრულდა

აეროპორტის გზაზე ავტოავარიას მსხვერპლი მოჰყვა. ავტომანქანა ქვეითად მოსიარულე შუახნის ქალბატონს დაეჯახა, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, გამოძიება 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით დაიწყო, რაც სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის ან ექსპლუატაციის წესების დარღვევას გულისხმობს, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

ამასთან, როგორც შემთხვევის ადგილიდან „ინტერპრესნიუსის“ ჟურნალისტი იუწყება, ადგილზე იმყოფებოდა, სავარაუდოდ, სამხედრო დანიშნულების „პიკაპის“ ტიპის „ჯიპი“, რომელიც დაზიანებულია.

შემთხვევის ადგილზე პატრულის თანამშრომლების გარდა, სამხედროებიც იმყოფებოდნენ, თუმცა, არცერთ მათგანს მომხდართან დაკავშირებით კომენტარი არ გაუაკეთებია.

ტრაგედია ფოთში

ფოთში, კუნძულის უბნის სანაპირო ზოლზე,17 წლის ბიჭი დაიხრჩო. ერთი კვირის მანძილზე მოზარდის დახრჩობის ეს უკვე მეორე შემთხვევაა.

ფოთის საკრებულოს თავმჯდომარე ოთარ ხარჩილავა აცხადებს, რომ იგი კუნძულის უბნის სანაპირო ზოლზე პრევენციული ზომების მიღებას აპირებს.

ოჯახური ძალადობის სტატისტიკა

შსს-ს ინფორმაციით, სულ 2007-2014 წლების (იანვარ-ივნისი) პერიოდში დაფიქსირდა 1102 ძალადობის ფაქტი , მათში მონაწილე 2223 პირით.

მოძალადეებს შორის სჭარბობენ მამაკაცები — 1014, ხოლო ქალების რაოდენობა შეადგენს 82-ს. აღნიშნულ პერიოდში ოჯახური ძალდობის მსხვერპლი გახდა 1010 ქალი და 117 მამაკაცი.

ოჯახური ძალადობის სახეებიდან საქართველოში სჭარბობს ფიზიკური (36%) და ფსიქოლოგიური ძალადობა (55%), ხოლო დანარჩენ ოჯახურ ძალადობებზე მთლიანად მოდის — 9%.

ამოღებულია დიდძალი კოკაინი

შსს-ს ინფორმაციით, ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1982 წელს დაბადებული დავით ფ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დავით ფ-ს მიერ თბილისის გარეუბანში გადამალული 319,68 გრ ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 22,99 გრ კოკაინს შეიცავს.

დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

ინტერპრესი

◎ ცხელი ზაფხული ბაზალეთზე



ივლისის ხვატმა საფიქრალი გაუჩინა დედაქალაქში დარჩენილებს — სულის მოსათქმელად ზოგმა თბილისის ზღვას მიაშურა, ზოგმაც კუს და ლისის ტბებს, მცხეთელმა და დუშელმა ახალგაზრდებმა კი ბაზალეთის ტბა არჩიეს.

ვაჟა დანელიას ფოტო.

ქართული ფლორის საოცრება

„სალხინო“ უეჭარი წამალია

„სალხინო“ აწესრიგებს შარდსასქესო ორგანოების მოქმედებას, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, აგვარებს თესლის ნაადრევ გამოყოფას, აღადგენს სექსუალურ სისუსტეს. რეკომენდებულია მასტოპათიების, ჭრილობების, კანის, ლორწოვანი, ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების, პირის ღრუს, სასუნთქი სისტემის ანთებითი დაავადებების დროს. რინიტის, ბრონქიტის, პულპიტის, გინგივიტის, პარადონტიტის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ჰეპატიტის, ნეფრიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, პროსტატიტის, რადიკულიტის, ბუასილისა და სხვა ანთებითი პროცესებით გამოწვეული დაავადებების მკურნალობა-პროფილაქტიკისათვის. აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედებას.

„სალხინო“ სარძევე ჯირკვლების დაავადებების დროს ხსნის ტკივილებს მკერდის, ბეჭისა და იღლიის არეში. მასტოპათიების შემთხვევაში, უნარი აქვს, გაიწოვოს სიმსივნური წარმონაქმნები. თუ გამოიყენებთ „სალხინოს“ მშობიარობის შემდეგ (პროფილაქტიკის მიზნით), აიცილებთ მასტიტს და შეინარჩუნებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

„სალხინოში“ შემავალი უნიკალური ნივთიერებების არსებობა და მისი უებარი სამკურნალო თვისებები შემოწმებული და დამტკიცებულია სხვადასხვა ქვეყნის ათეულობით სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიებში, კლინიკებსა და კათედრებზე. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

„სალხინო“ იკითხეთ აფთიაქებში.

- გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.
- გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

ტელ.: 214 41 58; მობ.: 577 49 94 84
www.salkhino.ge

◎ რა არ ხდება ქვეყანაზე!

დანიშნულების ადგილი მარსი

ამერიკული ტელეარხის UFO TV-ს ჟურნალისტებმა ნახევარსაათიანი ფილმი გადაიღეს ერთ-ერთ გადამდგარ საზღვაო ფეხოსანზე, რომელმაც თავი კაპიტან ჯეი ქეიდ წარადგინა და ინტერვიუში განაცხადა, რომ ბოლო 17 წლის მანძილზე... მარსზე მსახურობდა. ყოფილი სამხედრო მოსამსახურის თქმით, მისი მო-

ვალეობა ადამიანთა უცხოპლანეტური ბაზების დაცვა იყო... მტრულად განწყობილი ადგილობრივი მოსახლეობისგან!

კაპიტანმა ქეიმ ჟურნალისტებს უამბო, რომ იგი ამერიკის ეროვნული ორგანიზაციის „დედამიწის დაცვის სამსახურის“ (Earth Defense Force) დაქვემდებარებაში მყოფი საიდუმლო კოსმოსური ფლოტის ერთ-ერთი მეთაური იყო. მარსზე გატარებული 17 წლის მანძილზე მას ამერიკის შეერთებული შტატების, ჩინეთისა და რუსეთის მოქალაქეებთან მუშაობა მოუწია. საზღვაო ფეხოსნის ძირითადი მისია წითელ პლანეტაზე ადამიანების მიერ აგებული ხუთი კვლევითი ბაზის მარსის აგრესიულად განწყობილი მოსახლეობისგან დაცვა იყო.

მისი თქმით, მარსზე მძიმე სამსახურისთვის ხელისუფლება სამი წლის განმავლობაში ამზადებდა. ამ ხნის მანძილზე მან კოსმოსური გამანადგურებლებისა და ბომბდამშენთა სამ-სამი ტიპის მართვა ისწავლა, რომლებიც საგანგებოდ უაჰერო სივრცეში საბრძოლო მოქმედებების განსახორციელებლადაა შექმნილი. სწავლება... მთვარის გასაიდუმლოებულ ბაზაზე „Lunar Operations Command“-ზე მიმდინარეობდა, მაგრამ იმის გამხელა, თუ რამდენი კაცი მსახურობდა მასთან ერთად, კაპიტანმა ქეიმ არ ისურვა.

— მარსზე გატარებულმა თითქმის ორმა ათეულმა წელმა ლამის ერთიანად გამომფიტა, — თქვა მან. — ხელმძღვანელობა გაგებით შეხვდა გადადგომის შესახებ ჩემს პატაკს და ღირსეული გაცილება მომიწყო, რომელსაც ამერიკის სამხედრო უწყების მრავალი მაღალჩინოსანი, მათ შორის, თავდაცვის ყოფილი მინისტრი დონალდ რამსფელდი დაესწრო.

მეტად საგულისხმოა, რომ კაპიტან ქეის მსგავსად, მარსზე საიდუმლო სამხედრო ბაზების არსებობის შესახებ სხვა ყოფილი სამხედროებიც ლაპარაკობენ. ამერიკელმა ტელეჟურნალისტებმა ფილმი სწორედ მათ მონათხრობზე ააგეს.

◎ მილოცვა

აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლები გულითადად ვულოცავთ მუზეუმის საპატიო წევრს, ბატონ ნიკოლოზ კურტანიძეს დაბადების 70 წლისთავს.

მუზეუმის თანამშრომლები

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
299-62-77; 568 82-09-84..

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— **მიხო**, 130 კილოგრამს აწევ?

— რატომაც არა, ყოველდღე ხომ ვდგები საწოლიდან?

* * *

— **წარმოგიდგენია**, წუხელ ჩემი ცოლი კინაღამ გააუპატიურეს!

— მთლად გაცოფდნენ, გარყვნილები!

* * *

ძმარი — ეს არის მამაკაცი, რომელსაც თქვენ მთვრალიც ჰყავხართ ნანახი, ტიტველიც, უმაკიაჟოც, მომკივანიც, ათასი სისულელის მჩმახავიც და, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მაინც თქვენთან მცხოვრები...

* * *

— **შესანიშნავი** სარეცხის მანქანა ვიყიდე. კიდეც რეცხავს და კიდეც წურავს. და, რაც მთავარია, არ ხმაურობს.

— ჩემი კი თავად ასხამს წყალს, ყრის ფხვნილს, რეცხავს და წურავს, თუმცა, ხშირად ხმაურობს.

— უცხოურია?

— ჩემი დაშა? რას ამბობ, სამამულოა!

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერონსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24